პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 1943 წ. № 208 (6833). ფასი 20 კაპ.

ღირსეულად შევხვდეთ კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს

ლენინურ-სტალინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს სამამულო ომის ვითარებაში აღნიშნავს თავისი არსებობის XXV წლისთავს.

საკ. ალკკ განვლო სახელოვანი და გმირული გზა. კომკავშირი ყოველთვის იყო და არის ბოლშევიკური პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული, ახალგაზრდობის სოციალისტური აღზრდის ორგანიზაცია. იგი, როგორც პარტიის უახლოესი თანაშემწე, მთელ თავის მუშაობას წარმართავდა და წარმართავს ახალგაზრდობის მჭიდროდ დარაზმვისაკენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო. კომკავშირმა დიდი როლი შეასრულა სოციალისტური სამშობლოს ისტორიაში. ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად მისი ბრძოლის ფურცლები აღსავსეა მრავალრიცხოვანი გმირული საქმეებით. ასევე, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში **ლენინურ - სტალინურმა** კომკავშირმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. და ყველა თავის გამარჯვებას, რა დარგშიც არ უნდა იყოს იგი, კომკავშირმა მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ბრძნული პარტია, ბრძოლებში ნაცადი პარტია ბოლშევიკებისა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომმა არაჩვეულებრივი ძალით გამოავლინა კომკავშირის ყველა საუკეთესო თვისება. ფრონტზე და ზურგში კომკავშირელები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები გვიჩვენებენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის აღმაფრთოვანებელ მაგალითებს. მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა საკუთარი მკერდით დადგა **ლენინ-სტალინის** დიადი საქმის, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ახლა ამიცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ კომკავშირის მუშაობა სამამულო ომის პირობებში. კომკავშირის ხელმძღვანელმა აქტივმა მთელ კომკავშირულ მასას უნდა ჩაუნერგოს შესანიშნავი ბოლშევიკური თვისებები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები მოვალენი არიან არა მარტო უხელმძღვანელონ კომკავშირში მიღებას, არამედ გაუმჯობესონ მუშაობა იმგვარად, რომ სამამულო ომის ვითარებაში მათ წინაშე მდგომი ამოცანები ყოველთვის წარმატებით სრულდებოდეს. ახლა კომკავშირში ახალგაზრდებს ღებულობენ 14 წლის ასაკიდან. სამამულო ომის ვითარებაში ბევრი მოწინავე ახალგაზრდა შევიდა კომკავშირში. მათ სჭირდებათ რომზადება, სწავლება, აღზრდა, ბოლშევიკური ჩვევების შეთვისება. ამ საქმეს მთელი სერიოზულობით უნდა მივეკიდოთ. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირულ კადრებს. ამ კადრების შერჩევა და წამოყენება სერიოზული სამუშაო უბანია, მათთვის ყოველდღიური ხელმძღვანელობა-დახმარების გაწევა კი—აუცილებლად საჭირო. ბოლო უნდა მოეღოს კომკავშირული კადრების ხშირ ცვლას და დენადობას. საქმიანად უნდა ვიზრუნოთ კომკავშირული აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

კომკავშირის XXV წლისთავისათვის შზადება მთელი კომკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ნიშანსვეტად უნდა გადაიქცეს.

საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორგანიზაცია ძვირფასი ინიციატივით გამოვიდა საკ. ალკკ XXV წლისთავისათვის მზადების დღეებში. გამოცხადებულ იქნა ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად. მათ მიმართვას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მთელმა ახალგაზრდობამ, კომკავშირის ყველა პირველადმა ორგანიზაციამ. შეჯიბრებაში ჩაებნენ საწარმო-დაწესებულებების, შახტებისა და მაღაროების, რკინიგზის ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ახალგაზრდები. ბევრი კომკავშირელი, კომკავშირული საამქროები, ბრიგადები და რგოლები საკ. ალკკ XXV წლისთავის სახელობის სტახანოვურ ვახტზე დადგნენ. სტალინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდებმა იკისრეს შეეკეთებინათ 6 საბარგო და 3 სამგზავრო ვაგონი, უკვე სექტემბრის შუა რიცხვებისათვის კი 7 საბარგო და 12 სამგზავრო ვაგონი შეაკეთეს, ამასთან შეაგროვეს 230 ტონა ჯართი. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდობამ შეკეთებიდან 5 ორთქლმავალი გამოუშვა. № 5 სახელოსნო სასწავლების ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ამ სასწავლებელში ახლა არც ერთი ჩამორჩენილი მოწაფე არ არის. გეგმის გადამტებით 2.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილის ნაცვლად თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდობამ 5.000 მეტრი პროდუქცია გამოუშვა. ნედლეულის, მასალის, ელექტროენერგიის ეკონომიის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების დარგში კომკავშირის XXV წლისთავის სახელობის შეჯიბრების შედეგად ახალი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ მიღწეულზე როდი უნდა შევჩერდეთ.

კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება, ახალი ძვირფასი საჩუქრებით შევხვდეთ სახელოვან იუბილეს — საკ. ალკკ XXV წლისთავს!

საბჭოთა ახალგაზრდობა, აღფრთოვანებული გმირი წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით ფრონტზე, თავდადებულ შრომასთან ერთად ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს ამხანაგ **სტალინის** გენიალური ნაშრომს — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ეპოქის ეს უდიდესი დოკუმენტი მას კიდევ უფრო განუმტკიცებს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ღრმა რწმენას და აღაფრთოვანებს ახალი გამარჯვებებისათვის სამშობლოს სასახელოდ. დიდი ბელადის ამ ისტორიული წიგნის შესწავლაში კომკავშირს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ღირსეულად შევხვდეთ ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს! გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობა იმგვარად, როგორც ამას მოითხოვს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო, განმათავისუფლებელი ომის ამოცანები, როგორც ამას კომკავშირისაგან მოითხოვს უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი **სტალინი.**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ზ. მანუილსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. **დ. ზ. მანუილსკის** დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და იმ რევოლუციური დამსახურების გამო, რაც მას მიუძღვის პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე, დაჯილდოებულ იქნას ამხ. დიმიტრი ზაქარიას-ძე **მანუილსკი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 3 ოქტომბერი.

სუვოროვის და კუტუზოვის ორდენებით წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება

ქალაქების სმოლენსკისა და როსლავლის დაკავებისათვის საბრძოლო ოპერაციების ნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სუვოროვის და კუტუზოვის ორდენებით დაჯილდოებულია გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით

1. **კაზიშვილი** მიხეილ ზურაბის-ძე — პოლკოვნიკი.

კუტუზოვის მე-2 ხარისხის ორდენით

1. **გიორგობიანი** ავქსენტი დომენტის-ძე — პოლკოვნიკი.

სუვოროვის მე-3 ხარისხის ორდენით

1. **ხვანიძე** გრიგოლ მელიტონის-ძე — პოდპოლკოვნიკი.

საბჭოთა კავშირში

სმოლენსკის მშრომელთა მიტინგი

3 ოქტომბერს შესდგა სმოლენსკის მშრომელთა პირველი მიტინგი წითელი არმიისა და პარტიზანული რაზმების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან ქალაქის განთავისუფლებისადმი.

ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველგან წითელი დროშები და ამხანაგ სტალინის პორტრეტებია. ცაში დაჭრიან საბჭოთა თვითმფრინავები.

ბაკფიო, გულში ჩამფრდომი სიტყვები წარმოსთქვეს მიტინგზე საკ. კ. პ. (ბ) სმოლენსკის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანმა ამხ. პოპოვმა, საკ. კ. პ. (ბ) სმოლენსკის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა, ამ დღეებში პარტიზანული ზურგიდან მოსულმა, ამხ. მოზინმა, დასავლეთის ფრონტის ოფიცერთა და მებრძოლთა წარმომადგენელმა გენერალ-მაიორმა რუსაკოვმა და სხვებმა.

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული მიესალმებელი წერილი ამხანაგ სტალინისადმი, წაკითხული პოეტ ალექსანდრე ტვარდოვსკის მიერ, და მისალმება წითელი არმიის მეომრებისადმი, რომლებმაც გაათავისუფლეს სმოლენსკი. (საკდესი).

საერთო-საქალაქო მიტინგი ორიოლში

შესდგა ქალაქ ორიოლის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი, მიძღვნილი ორიოლის ოლქის სრული განთავისუფლებისადმი ჰიტლერელ დამპყრობლებისაგან.

ათასობით ქალაქელმა მიიღო მონაწილეობა მიტინგში, რომელიც გადაიქცა სამშობლოსადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების ძლიერ დემონსტრაციად.

ქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა, ბრიანსკის ფრონტის მეთაურებისა და წარმომადგენლთა გამოსვლების შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა ხანგრძლივი ტაშით მიიღეს მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი და ბრიანსკის ფრონტის გენერლებისა, ოფიცრებისა და მებრძოლებისადმი, რომლებმაც განდევნეს ფაშისტი ბანდიტები ორიოლის ოლქის საზღვრებიდან (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

3 ოქტომბრის განმავლობაში გომელის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 5-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შავშენიცა, ლოზოვიცა, მალაშკი, სლობოდკა, უშპიტოვი, ვასილიევკა, ზაბორიე, რისლავლი, კირიტოვკა.

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 5-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები გლუშეკი, დროკოვკა, ლიუბანი, ბიშნია, ტელიაში, ბერიოზოვკა, ლეტიაგი, ზაკრუპეცი, გიშენკა, კლინი, დუბნო.

დანარჩენ ფრონტებზე გაძლიერებული დაზვერვა და საარტილერიო სროლა.

2 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 155 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 42 თვითმფრინავი.

* * *

გომელის მიმართულებით ჩვენი ჯარები ცალკეულ უბნებზე წინსვლას განაგრძობდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე გააფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს და 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ 2 ტანკი, 1 თვითმავალი ქვემეხი, 2 სანაღმტყორცნო ბატარია. წამოყენილია 120-ზე მეტი ტყვე.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მდინარე პრონიას ზღუდეებისათვის. 6 შენაერთის ნაწილებმა, მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ცეცხლის მიუხედავად, გადასასვლელი მოაწყეს და მდინარე პრონიას დასავლეთ ნაპირზე გადავიდნენ. ჩვენმა ნაწილებმა სწრაფი მანევრით აიძულეს გერმანელები საჩქაროდ დაეხიათ უკან და დიდი ზარალი მიაყენეს მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. მარტო ერთ უბანზე გაულტილია მტრის 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ საველე ქვემეხების 4 ბატარია, 3 თვითმავალი ზარბაზანი, 65 ტყვიამფრქვევი და ბევრი სხვადასხვა სამხედრო ქონება. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 10-მდე კილომეტრით და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ-ერთი პუნქტის აღებისას მოსპობილია ორი ასეული ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დიდი აღალი საომარ მასალიანად, საჭურველიანად და გერმანელების მიერ ადგილობრივ მცხოვრებთათვის წართმეულ ქონებიანად.

* * *

ჩვენმა მფრინავებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 6.000 ტონა წყალწყვილა.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა მოახდინეს დარტყმა გერმანელთა ტრანსპორტებზე ბალტიის ზღვაში. ტორპედირებული და ჩაძირულია 3.000 ტონა წყალწყვილ ტრანსპორტი. შავი ზღვის ფლოტის ავიაცია მოწინააღმდეგის ჯარებსა და სანაოსნო საშუალებებს ურტყამდა. ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 სწრაფშავალი სადესანტო კარჭაპი და რამდენიმე მოტოკაპანო ჯარებიანად, მოსპობილია 60 ავტომანქანა, გაფანტული და ნაწილობრივ გაელტილია ჰიტლერელთა სამ ასეულამდე ჯარი.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა სექტემბრის დამლევს მოწინააღმდეგის რკინიგზის მცველი რაზმი გაანადგურა და 6,5 კილომეტრ მანძილზე რკინიგზის ლიანდაგი აჰყარა. რკინიგზის მცველი რაზმის დასამარებლად გერმანელებმა ერთი ეშელონი მაშველი ჯარი გაგზავნეს. პარტიზანებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეწყობრიდან გამოიყვანეს ორთქლმავალი, არ აცალეს მოწინააღმდეგს მომზადებულიყო ბრძოლისათვის და 200-ზე მეტი ჰიტლერელი გაელიტეს, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მინსკელმა პარტიზანებმა გზის სხვა უბანზე კიდევ 5 კილომეტრ მანძილზე აჰყარეს ლიანდაგი და სროლა აუტეხეს ფრონტის ხაზისაკენ მიმავალ გერმანელების სამხედრო მატარებელს.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-3 საპოლიციო პოლკის მე-9 ასეულის ჯარისკაცმა იაკობ ჰორნმა განაცხადა: „მე 1943 წლის აპრილში გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. მოვხვდი სათადარიგო სასწავლო ბატალიონში, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ჰერტოგენბოსში იყო დაბანაკებული. ეს ბატალიონი შეესებას ამზადებდა საპოლიციო დივიზიისათვის, რომელიც მაშინ პრაღაში იმყოფებოდა. 9 აგვისტოს ბატალიონი სასწრაფოდ ჩასხეს და მთელი შემადგენლობით გაგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე. ჩვენ მე-3 პოლკს შეგვაერთეს. მძიმე თავდაცვითს ბრძოლებში ჩვენი პოლკი სავსებით დაიცალა სისხლისაგან. 15 სექტემბრისათვის ჩვენი პოლკის საცოდავი ნაშთები ერთ ასეულად გადააქციეს, რომელშიც 140 კაცი ითვლებოდა. სამი დღის შემდეგ ამ ასეულიდანაც 60 კაცილა დარჩა“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა ხელისუფლებმა ჩაიდინეს ქალაქ ოსიპენკოში (ბერდიანსკი): „გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დაანგრიეს აზოვის ზღვის პირას მდებარე საუცხოო ქალაქი და კურორტი ოსიპენკო. გერმანელი სამხედრო ხელისუფლები — ფაშისტი გებიტს-კომისარი ბელეტე და მისი მოადგილე კიუნკლე ასამართლებდნენ და სჯიდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, სძარცვავდნენ და ხოცავდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. არასრული ცნობებით, ჰიტლერელებმა ოკუპაციის განმავლობაში 6.000-ზე მეტი ადგილობრივი მოქალაქე დახვრიტეს. ფაშისტმა მონათმოვაჭრეებმა ქალაქისა და რაიონების მცხოვრები 20.000-ზე მეტი ქალი და კაცი, ჭაბუკი და ქალიშვილი ძალით გაირეკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახევისას გერმანელმა მტარვალებმა ააფეთქეს და დაანგრიეს პერვომაისკის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა. აზოვ-შავი ზღვის ქარხანა, კრეკინგ-ქარხანა, ტყავეულის ქარხანა, ფეხცამლის ფაბრიკა, ორი აგურის ქარხანა, ღვინისა და ლუდის ქარხნები, მექანიზებული პურსაცხობი ქარხანა, ზეთსახდელი ქარხნები № 1 და № 2, ხორცის კომბინატი, ქარხანა „რიბპრომი“, ორთქლის წისქვილი, ქალაქის ელექტროსადგური და რკინიგზის სადგური, ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი, ქალაქის საავადმყოფო, ტუბერკულოზის დისპანსერი, პედაგოგიური ინსტიტუტი, პედაგოგიური ტექნიკუმი, 18 სკოლა, საფაბრიკო-საქარხნო მოსწავლეობის სკოლა, წყლისანთა კლუბი, მელითონეთა კლუბი, თეგნის მრეწველობის მუშათა კლუბი, მასწავლებელთა კლუბი, ქალაქის თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქალაქის ბიბლიოთეკა, ოთხი სანატორიუმი და ქალაქის ბევრი საცხოვრებელი სახლი.

ჰიტლერელები ცდილობდნენ ძალით, დახვრეტის მუქარით, თან გაერეკათ მთელი მოსახლეობა. გესტაპოელთა და ჟანდარმთა რაზმები მასობრივ ჩხრეკას ახდენდნენ ქალაქში და ხალხზე ნადირობდნენ. სულ მცირე შესიტყვეებისათვის, დამალვისა და ევაკუაციისაგან თავის არიდების ცდისათვის ხვრეტდნენ. ჰიტლერელმა ჯალათებმა რამდენიმე დღეში ქალაქსა და მის მიდამოებში დახვრიტეს რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, რომელთაც არ მოისურვეს დაეტოვებინათ თავიანთი მშობლიური კერა.

ქალაქის ყველა მოქალაქეთა სახელით მოვითხოვთ ფაშისტი ავაზაკებისა და კაკიბ-მკვლელების სასტიკად და დაუნდობლად დასჯას ყველა მათი საზიზღარი და სისხლიანი დანაშაულისათვის“.

აქტს ხელს აწერენ: ოსიპენკოს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ა. მიხაილენკო, ექიმები—ს. სამბურსკი, ვ. მორონოვი, მ. ოგოშინი, ლ. ეუკოვა, ე. სოსინა, აზოვ-შავი ზღვის ქარხნის საამქროს უფროსის მოადგილე ა. ფილუდკო, ლიანდაგის დისტანციის უფროსი ი. ლიახოვეცი, ტაძრის დეკანოზი ვასილ პოპოვი, ასოთამწყობი მარიამ ჩიჩეროვა, დეპოს ზარატი ნიკოლოზ ვაკკო, აზოვ-შავი ზღვის ქარხნის ხარატი ს. საგინი, „რიბპრომის“ მუშა ი. კიტკო. მასწავლებლები ა. კოპაჩი, ნ. პეტროვერეზევა, მ. ტიშენკო, ნ. სადორენკო და ქალაქის სხვა მცხოვრებნი.

4 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

4 ოქტომბრის განმავლობაში გომელის, მოგილიოვისა და ვიტებსკის მიმართულებათა ცალკეულ უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც გაუმჯობესეს თავიანთი პოზიციები.

დანარჩენ ფრონტებზე გაძლიერებული დაზვერვა და საარტილერიო სროლა იყო.

3 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 67 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 53 თვითმფრინავი.

* * *

გომელის მიმართულებით 5 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის შვიდი კონტრიერიში და მოსპეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. დაზიანებულია მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი და წამოღებულია დავლა, რომელშიც არის 5 საველე ქვემეხი და 4 ჯავშანტრანსპორტერი. სხვა უბანზე მეავტომატეთა ჯგუფი ლეიტენანტ სილეკის მეთაურობით გადავიდა წყლის ზღუდეზე, შამბნარში გაიკვლია გზა და მოწინააღმდეგის ფლანგში მოექცა. უეცარი დარტყმით მეავტომატეებმა გაანადგურეს გერმანელები, რომლებიც წყლის ზღუდესთან იყვნენ გამაგრებულნი, და უზრუნველჰყვეს ჩვენი ქვეგანაყოფების გადასვლა მდინარეზე.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს. ავიაციის მოქმედებით მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 10 ტანკი, 40 ქვემეხი და 100-ზე მეტი ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. მოწინააღმდეგეს გააფთრებული კონტრიერიშები მოაქვს და ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს დაკავებული ზღუდეები. 5 შენაერთმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად გასტეხა გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავა რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი გვამი. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის 20 ქვემეხი. ხელში ჩავიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. ერთ უბანზე 5 შენაერთის ნაწილმა გადალახეს გერმანელთა მრავალრიცხოვანი ღობურები, წინ წაიწიეს და დაიკავეს 3 დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გააფთრებული კონტრიერიში. ხელში ჩავიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის 2 სადესანტო და 4 მშრალტვირთიანი კარჭაპი. გარდა ამისა, ჩვენმა ავიაციამ დაამსხვრია 100-ზე მეტი ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად, გაჰფანტა და ნაწილობრივ გაელიტა ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელები.

* * *

გერმანელები გაძლიერებით იცავდნენ იმ რკინიგზის უბანს, რომელიც ჟიტომირის ოლქის ტერიტორიაზე გადის. თითო კილომეტრ ლიანდაგს იცავდა 30-40 ჰიტლერელი სადარაჯო ძაღლებიანად. განსაზღვრულ დროში ხაზზე ყოველთვის დადიოდა ჯავშნიანი მატარებელი. მაგრამ მოწინააღმდეგის მიერ მიღებული ყველა ღონისძიების მიუხედავად, ჟიტომირის ერთი რაზმის პარტიზანებმა 14-დან 17 სექტემბრამდე ამ უბანზე ააფეთქეს გერმანელთა 6 სამხედრო ეშელონი, მოსპეს ფრონტის ხაზისკენ მიმავალი ათობით ვაგონი საომარ მასალიანად, ქვემეხებიანად და ტანკებიანად. მარცხის დროს მოკლულ იქნა 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელთა 216-ე ქვეითი დივიზიის 396-ე პოლკის, ბატალიონის ტყვე მეთაურმა, მაიორმა ვერნერ ვიხერტმა განაცხადა: „ჩვენმა დივიზიამ ამ უკანასკნელ ხანს მძიმე დამარცხება განიცადა და დიდძალი ჯარისკაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. განსაკუთრებით დიდია მეთაურთა შემადგენლობის დანაკლისი. ერთი თვის განმავლობაში მოკლულ იქნა ჩემი ბატალიონის ასეულთა ოთხივე მეთაური. გერმანიის არმიის ზაფხულის შემოტევის ჩაშლამ და გერმანიის ჯარების უკანდახევამ, რაც ამის შემდეგ დაიწყო, დასცეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა საბრძოლო სულისკვეთება. ახლა ოფიცრები უკვე ლაპარაკობენ გერმანელთა სარდლობის არა ვარაუდების შეშლაზე ან ცალკეულ შეცდომებზე, არამედ რუსეთის სტრატეგიის აშკარა უპირატესობაზე გერმანიის სტრატეგიასთან შედარებით. დივიზიის ოფიცრები, რომლებსაც მე ვიცნობ, სთვლიან, რომ გერმანიის გამარჯვებაზე უკვე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ჩემთვის ცხადია, რომ გერმანიის ახლანდელი მძიმე მდგომარეობა ბევრი მხრივ მოგვაგონებს 1918 წელს. და მთელი საკითხი ახლა იმაში მდგომარეობს, როდის მიაღწევს ახლანდელი კრიზისი უმაღლეს წერტილს, კიდევ რამდენ ხანს გასძლებს გერმანიის არმია“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ქალაქ მარიუპოლში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „ორი წლის განმავლობაში ჰიტლერელები აწამებდნენ და სტანჯავდნენ მარიუპოლის მშვიდობიან მცხოვრებთ, ანგრევდნენ და სპობდნენ ქალაქს. ფაშისტი მტარვალების ძალადობა და მხეცობა საბჭოთა ადამიანების მიმართ, ბარბაროსული ნგრევა ქალაქში მარიუპოლის ოკუპაციის პირველ დღიდანვე დაიწყო და თვით გერმანელ დამპყრობთა გაქცევამდე გრძელდებოდა. ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელმა ჯალათებმა რამდენიმე ათეული ათასი მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტეს. წამებით დახოცილი ათასობით საბჭოთა მოქალაქენი დამარხულია ტანჯაწინააღმდეგო ორმოში და სანგრებში ავრამბაზის რაიონში, ავრეთვე სოფელ ხრეშჩატინსკოესთან. ფაშისტმა მტარვალებმა დახვრიტეს ილიჩის სახელობის ქარხნის მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწე, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. პუზირევი და მისი ორი ქალიშვილი, ქარხნის უძველესი მუშები—შაბანოვი, პუზანოვი და ბევრი სხვა. გერმანელმა ბანდიტებმა ააფეთქეს ილიჩის სახელობის, აზოვსტალის, კუბიშევის სახელობის უდიდესი ქარხნების საამქროები, ადგილობრივი მრეწველობის ბევრი საწარმო, ელექტროსადგური, ტრამვაის პარკი, ორი წყალსამკურნალო, 10 დასასვენებელი სახლი. დანგრეული და ადაფეთქებულია ქალაქის საბჭოს, ბანკის, სასამართლოს და პროკურატურის, ფოსტა-ტელეგრაფის შენობები, თეატრი და 56 სკოლის შენობები. გერმანელებმა ააფეთქეს ბევრი ქალაქის ყველა ეკლესია. ჰიტლერელებმა დასწვეს დიდძალი საცხოვრებელი სახლი შიგ მყოფ მობინადრეებიანად. წითელი არმიის ნაწილებმა მოუსწრეს და ხელი შეუშალეს ჰიტლერელებს მთლიანად დაენგრიათ და დაეწვათ ქალაქის ყველა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობა“.

აქტს ხელს აწერენ: ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ლ. ლიტვინოვი, ილიჩის სახელობის ქარხნის მუშები, მუშა ქალები და სპეციალისტები კ. გოლდინა, პ. პოლიკურლატი, ინჟინერი პ. ფეშენკო, მემანქანე ს. ტორიკოვი, ხარატი ტ. შაპოვალენკო, მემანქანე მ. ბატიჩკო, საამქროს უფროსი ზ. ორლოვი, საამქროს უფროსი ა. ორეხოვი, ინვალიდი ი. დომაშნევი, ფოსტის უფროსი ა. სტებლიანკო, ფიზიკულტურის ინსტრუქტორი ა. მაშკინი, ტრამვაის ტექნელმძღვანელი ნ. სმირნოვი, სადგურ მარიუპოლ-პორტის შემდგენელი ი. გოლუბი, ექიმი ვ. კონონოვი, პედსასწავლებლის მასწავლებელი ს. პოპოვი და სხვები.

ეფრემიეფორ კულიკოვის საგმირო საქმე

მოქმედი არმია, 4 ოქტომბერი (**საკდესის სპეც. კორ.**). სოფელ სოლოშინოსათვის ბრძოლაში უდიდესი გმირობა გამოიჩინა კომკავშირელმა ეფრემეტორმა ალექსანდრე კულიკოვმა.

როცა ასეულმა სოფელი დაიკავა, მოწინააღმდეგე კონტრიერიშზე გადმოვიდა. ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. გახურებული ბრძოლის დროს მოკლულ იქნა მეთაური. ამ მომენტში წამოდგა კულიკოვი და შესძახა:

ასეულს მე ვმეთაურობ! წინ!

კულიკოვი გაუძღვა მებრძოლებს ხელჩართულ ბრძოლაში. წითელარმიელთა შეტევითი სულისკვეთება იმდენად ძლიერი და მრისხანე იყო, რომ ფაშისტებმა უკან დაიხიეს. კულიკოვმა გამოიყენა ხელსაყრელად შექმნილი ვითარება და დაედევნა შემდრკალ მტერს. მაგრამ აი, შემტევთ გზა გადაეღობა დაზვის ტყვიამფრქვევის ცეცხ

ფრონტზე წითელი არმიის შეჯვეას ხელი შევუწყოთ ზურგში სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით

აზერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა მიიღეს მმართვა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისადმი.

— საბჭოთა ხალხი, — ნათქვამია ამ მიმართვაში, — შრომითი საგმირო საქმეებით აძლევს სალუტს ფრონტელებს. მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მოგიწოდებთ, ძვირფასო ძმებო და დებო, ჩაეთან ამ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში.

ამიერ-კავკასიის ხალხთა — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — შეურყეველი მეგობრობა ეს არის მძლავრი ძალა, რომლის ძლიერებაც თავის ტყავზე იგემეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა.

მმართვაში მოთხრობილია, თუ რა მამაცურად იბრძვიან ფრონტებზე აღდამის რაიონის საუკეთესო ადამიანები მტრის წინააღმდეგ. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მთავრობის ჯილდოები მიიღო 63 აღდამელმა.

— ჩვენ, ზურგში, — ნათქვამია მიმართვაში, —ვცდილობთ სტახანოვური შრომით დავეხმაროთ ფრონტს.

აღდამის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე და კარგად ჩაატარეს პურეულის მოსავლის აღება. 1 სექტემბრისათვის პურის დამზადების გეგმა ყველა სახის მიხედვით შესრულებულია 100 პროცენტით, დამთავრებულია ხვნა საშემოდგომო კულტურების დასათესად, მათ შორის ანეულის ხვნა. მებამბეობის კოლმეურნეობები შეუდგნენ ბეჯითი და დაძაბული შრომის შედეგად მოყვანილი უხვი მოსავლის აღებას.

მეცხოველეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის რაიონს მიეკუთვნა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს და აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რაიონი დამტკიცებულია სსრ კავშირის მიწსახკომის დროშისა და ფულადი პრემიის მიღების კანდიდატად.

რაიონმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობის განვითარების, სახელმწიფოსათვის მატყლის, ერბო-კარაქის, ბრინჯის, თევის, ტყავების ჩაბარების გეგმების შესრულებაში.

აღდამელები დაუცხრომლად ზრუნავენ ფრონტელთა ოჯახებისადმი დასახმარებლად, წითელი არმიისათვის მებრძოლი რეზერვების მოსამზადებლად, რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოსწყობად.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის აღსანიშნავად, აღდამელებმა იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული საბრძოლო ვალდებულებანი.

— ვკისრულობთ რა ასეთ ვალდებულებებს, —ნათქვამია მიმართვაში,—მოგიწოდებთ, ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, 1 ნოემბრამდე მთლიანად შეასრულოთ პურის, ხორცის, ერბო-კარაქის, მატყლის, კვერცხის, თევის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ჩაის, სუბტროპიკული და სხვა კულტურების დამზადების ყველა გეგმები. ბამბის ჩაბარების გეგმა შეასრულოთ ორა უგვიანეს 7 ნოემბრისა. 7 ნოემბრისათვის დასთესოთ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების სულ მცირე 75 პროცენტი. 7 ნოემბრისათვის შეასრულოთ მზრალად ხვნის გეგმა სულ მცირე 75 პროცენტით. პირუტყვის გამოსაზამთრებლად მოამზადოთ თბილი სადგომები და საკმაო რაოდენობით უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები.

ძვირფასო ამხანაგებო! ფრონტებზე წითელი არმიის შეტევას ხელი შეეუწყოთ შრომაში შეტევით. მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებებით ათასობით ტონა გეგმის ზევით მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ახალი ძალით ცხადყოთ ჩვენი სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი ბელადისადმი, საბჭოთა ხალხის მხედართმთავრის ბრძენ **სტალინისადმი.**

ბრძოლაში რომ მიდიან, წითელ მეომრებს გულში აღბეჭდილი აქვთ **სტალინის** სახელი. დიდი **სტალინის** წინამძღოლობით ჩვენ გავანადგურებთ, მოვსპობთ მტერს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

დიდება უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს დიდ მშობლიურ **სტალინს!**

ამ მიმართვას აღდამის რაიონის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა სახელით ხელს აწერენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: რუსტამ ასკეროვი, გეზალ მუსტაფაევი, რაშიდ ალიევი, დადაშ აბასოვი, ალი კუშიევი, მეხტი მეხტიევი; კოლმეურნეობათა ბრიგადიერები: სუმამ მამედოვი, ჯამალ ალიევი, მეიტავან ჰასანოვი, სულეიმან მამედოვი; კოლმეურნეობათა სტახანოველი ქალები: ზიბეიდა პირიევი, ზეინაბ შუქიეროვი, ნურამ მამედოვა, გულსუმ ალაზვერდიევა; სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები: ასკერ ალიევი, სილიან ჯაფაროვი, შაქარალი ალაზვერდიევი; ტრაქტორისტები: აზად რუსტამოვი,გუმ რუ ალიევა, მიხეილ პანკრატოვ, მახარ ჰასანოვი; აგრონომები, ზოოტექნიკოსები და ვეტექმეები: სააკოვი, შაქარიანი, ხუდუ ჰუსეინოვი, ყარა ყულიევი, ბახრან აქპეროვი; მტს-ების დირექტორები: ხოშენკო, შირხანოვი, იავერი; პარტიის რაიკომის მდივნები: ი. იუსუფოვი, ნიფტულაევი, ჰაჯიევი; რაიაღმასკომის თავმჯდომარე ყულიევი, რაიმიწგანის გამგე მამედოვი და სხვები.

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ საქართველოს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მიმართა მოწოდებით გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება საკ. აღკკ XXV წლისთავის აღსანიშნავად. ახლოვდება გმირული კომკავშირის სახელოვანი იუბილე და საქართველოს კომკავშირი სოციალისტური შეჯიბრით ნაკისრ ვალდებულებათა შემოწმებას შეუდგა. სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა წარმატებით ახორციელებენ აღებულ ვალდებულებებს. მათ იკისრეს გეგმის გადაჭარბებით კაპიტალურად შეეკეთებინათ 3 ორთქლმავალი, სამი სამგზავრო და სამი მოტოვაგონი, 6 სატვირთო ვაგონი, დღეისათვის უკვე მზად არის ორი ორთქლმავალი, ერთი მათგანი საქართველოს კომკავშირის სახელობის ჯავშნიანი ორთქლმავალი. 25 პროცენტით შეკეთებულია მესამე ორთქლმავალი, რომელიც სავსებით მზად იქნება 20 ოქტომბერს, ე. ი. 9 დღით ადრე.

ქარხნის ახალგაზრდობამ უკვე გამოუშვა ჟაპიტალური შეკეთებიდან 2 სამგზავრო ვაგონი. აგრეთვე სოცშეჯიბრებით ნაკისრი 3 მოტოვაგონიდან ორი მზად არის, მესამე კი მზად იქნება 15 ოქტომბრისათვის. ვალდებულებით ნაკისრი 6 საბარგო ვაგონის ნაცვლად 25 სექტემბერს ქარხნის კომკავშირელებმა 7 ვაგონი ჩააბარეს საექსპლოატაციოდ რკინიგზას და დამატებით იკისრეს ახალი ვალდებულება 29 ოქტომბრისათვის კიდევ გამოუშვან 4 საბარგო ვაგონი. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ქარხნის კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდობა დარაზმულია ნაკისრი ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლაში. ორთქლმავლების შეკეთებაზე მაღალი საწარმოო მაჩვენებლები გამოავლინეს კომკავშირელებმა ლომიაშვილმა. ცხადაძემ. ვაგონების გამოშვებაზე—ლეშენკომ და სხვებმა. ხატიაშვილის ბრიგადის კომკავშირელები სანიმუშოდ მუშაობდნენ მოტოვაგონების გამოშვებაზე. მათ არ ჩამორჩნენ ძმები ადამაშვილები, სოლოვიოვი, ამბოკაძე და სხვები.

ქარხნის ახალგაზრდობამ ვალდებულება იკისრა შეეგროვებინა 500 ტონა ფანთლის ჯართი, უკვე შეგროვილია 552 ტონა. კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის ახალგაზრდობა სიტყვას იძლევიდა მიეღწია იმისათვის, რომ ყველა კომკავშირელი სტახანოველი გამზდარიყო. ნაკისრი ვალდებულება მათ გაანაღდეს. ახლა ყველა კომკავშირელი სტახანოველი და დამკვრელია. მათგან 33 სამასოვანია, 35 კომკავშირელი კი ორასოვანი.

კომკავშირელებმა აგრეთვე იკისრეს დაეზოგათ 5.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ამ ღონისძიების ხუსტად გატარებისათვის ქარხანაში შეიქმნა კომკავშირელთა 40 საკონტროლო პოსტი. დღეისათვის უკვე დაზოგილია 3.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ქარხნის კომკავშირელები ეხმარებიან აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთების საქმეში დიმონის კოლმეურნეობას, რისთვისაც შექმნილია სპეციალური ბრიგადა კომკავშირელ ბერუაშვილის მეთაურობით.

ქარხნის ახალგაზრდობა წარმატებით სწავლობს როგორც წრეებში, ისე დამოუკიდებლად ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ". ორჯერ მოეწყო ქარხნის ახალგაზრდობის შეხვედრა სამამულო ომის მონაწილეებთან. ამ დღეებში აწყობენ საღამოს თავიანთი ქარხნის საბრძოლო ტრადიციებისა და ისტორიის შესაწავლად. ქარხნის ახალგაზრდობა ფართოდ ეუფლება, აგრეთვე სამხედრო-თავდაცვითს საქმეს. ყველაფერს აკეთებენ ნაკისრ ვალდებულებათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, რომ ახალი საწარმოო აღმავლობით წარსდგნენ საკ. აღკკ XXV წლისთავზე, დახვდარონ დიდა-სამშობლოს ვერაგი მტრის — ფაშისტი ავაზაკების საბოლოო განადგურების საქმეში.

პარტიული ცხოვრება

საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა კასპის რაიონში

კასპი („კომუნისტის" საკ. კორ.). პროპაგანდისა და აგიტაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის კასპის რაიონში სერიოზული მუშაობა ტარდება. რაიონში სულ 25 აგიტკოლექტივი მუშაობს და აერთიანებს 470 აგიტატორს. საagიტაციო მუშაობაში ჩაბმულია რაიონის ინტელიგენცია: მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრები, მედიცინის, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისტემატურად ეწყობა პოლიტიკური მოხსენებები. მომხსენებლებად გამოყოფილი არიან ხელმძღვანელი ამხანაგები. პარტიული კაბინეტი საჭირო დახმარებას უწევს მომხსენებლებს. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებს, პროპაგანდისტებს და ლექტორებს, სემინარებისა და ჯგუფური კონსულტაციების მოწყობით, ამარაგებს მათ მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ შექმნილია აგიტბრიგადა, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მთის ზონის კოლმეურნეობებში.

საagიტაციო-მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობისათვის რაიონის პარტორგანიზაციებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ გაწეული. სოფ. მეტეხის აგიტკოლექტივში (ხელმძღვანელი ქ. ხარებავა) 12 აგიტატორი და მესაუბრე-წამკითხველი ითვლება. აგიტატორებისა და მესაუბრე-წამკითხველებისათვის სისტემატურად ტარდება აგიტსემინარები, კარგად არის მოწყობილი აგიტპუნქტი (ხელმძღვანელი რ. კუმლაძე). სადაც წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით სისტემატურად იმართება თათბირები და კონსულტაციები. აგიტატორები: ა. გიგილაშვილი, ი. მერებაშვილი, ქ. იაშვილი, თ. ბერიაშვილი, ე. ჭეკელაშვილი თავიანთ საუბრებს მიმდინარე მომენტის საკითხებზე უკავშირებენ კოლმეურნეთა საბრძოლო ამოცანებს. ბრიგადები, რომლებშიც ეს ამხანაგები მუშაობენ აგიტატორებად. წარმატებით ასრულებენ გეგმებს. აგიტატორები ბრიგადებთან ერთად სისტემატურად უშვებენ საველე გაზეთებს. მუშაობის კარგ მაჩვენებლებს იძლევიან აგრეთვე სოფ. ქვემო ხანდაკის აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი ამხ. ე. ხეჩუაშვილი), კაკეთისხევის (ხელმძღვანელი ამხ. გ. ბოჭორიშვილი) და ზემო ხანდაკის (ხელმძღვანელი ამხ. ე. ქამხაძე) აგიტკოლექტივები.

მიუხედავად მიღწევებისა, პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის დარგში ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლს. რიგ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში სუსტია პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა. სოფელ ქვემო ბომის აგიტკოლექტივს (ხელმძღვანელი ამხ. ბ. გიორგაძე) 1943 წლის 1 იანვრიდან 15 აგვისტომდე ჩატარებული ჰქონდა მხოლოდ 3 საუბარი აგიტატორებსა და მესაუბრე-წამკითხველებთან, არ ჰქონდა შედგენილი სამუშაო გეგმა. უმოქმედობას იჩენდა აგიტპუნქტის ხელმძღვანელი რ. ხითარიძე. რაიკომის ბიუროს მოისმინა საკითხი ქვემო ბომში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი მოხსნა, ხოლო პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ი. კაციაშვილს მიუთითა და დაავალა გადაჭრით გაუმჯობესოს დახმარება აგიტკოლექტივისადმი. უმოქმედობას იჩენენ კოდის-წყაროს, ქვ. ჭალის და დოესის აგიტკოლექტივები და აგიტპუნქტები, რის გამოც საჭიროა რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება და დახმარება გაუწიონ მათ.

რაიონის მშრომელები უდიდესი გულმოდგინეობით შეუდგნენ ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" შესწავლას. რაიონში შექმნილია 56 წრე, რომელთაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პროპაგანდისტები. ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით პარტკაბინეტში გამოფენილია დამზმარე პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა თემების მიხედვით, სისტემატურად ეწყობა კონსულტაციები და სემინარები. იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" პერიოდულად ეწყობა ლექციები და მოხსენებები ცალ-ცალკე თემების მიხედვით. დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მოეწყო 12 ლექცია და 10 მოხსენება.

ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელ წრეებიდან მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა კასპის რკინიგზის საგზურთან არსებული წრე (ხელმძღვანელი ამხ. შ. დაბრუნდაშვილი). ჩატარებულია 3 მეცადინეობა. ბელადის წიგნს საფუძვლიანად სწავლობენ წრის წევრები: ი. კანდელაკი, ე. ჯუბარიძე, ნ. ფიროცხალაიშვილი, ქ. კაკაშვილი და სხვ.

ბელადის წიგნის შესწავლა კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სტალინის სახელობის კასპის ციმენტის ქარხანაში (წრის ხელმძღვანელი ამხ. ი. გოხალოვი), თეძმისხევის კოლმეურნეობასთან არსებულ წრეში (ხელმძღვანელი მასწავლებელი ტ. ჯავანაშვილი), კასპის კოლმეურნეობა „ძმობასთან" არსებულ წრეში (ხელმძღვანელი ი. დალაქიშვილი), ერთაწმინდის კოლმეურნეობასთან არსებულ წრეში (ხელმძღვანელი კ. სანელიძე) და სხვ. რაიონში საagიტაციო-მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობის მიზნით, საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი დახმარება გაუწიონ წრეების მეცადინეობის, აგიტპუნქტებისა და პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაციის საქმეს.

ვ. გუზალაძე

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

სტალინირი (საქდესი). შესდგა სტალინირის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი—საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის ორგანიზაციაში პარტიის რიგების ზრდისა და პედაგოგიური ინსტიტუტისა და სასწავლებლის 1943-44 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. სანაკოევმა აღნიშნა, რომ სამამულო ომის პერიოდში პარტიის წევრად მიღებულია 176 კაცი, ხოლო კანდიდატად—232 კაცი. კარგად მუშაობდნენ სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის, პედინსტიტუტის და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მომხსენებელმა გააკრიტიკა საგარეუბნო მეურნეობისა და არტელ „წითელი ოქტომბრის" პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც შეასუსტეს ყურადღება პარტიის რიგების ზრდისადმი.

მეორე საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზ. ეანელიევი და პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი ამხ. ხ. კოკოევა.

ორივე საკითხზე პლენუმმა გამოიტანა სათანადო დადგენილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ორდენებით დაჯილდოებულთა ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — პირველ რიგში: ვალერია ბობრცი — არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის „მოლოდაია გვარდიას" წევრი, საბჭოთა კავშირის გმირის „მოლოდაია გვარდიას" ხელმძღვანელის ოლეგ კოშევოის დედა ელენე კოშევაია, კოლმეურნე ოლეს პისკარევა, რომელიც დაჯილდოებულია დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე წელიწადნახევრის განმავლობაში საარტილერიო პოლკის დროშის შენახვისათვის, საბჭოთა კავშირის გმირი ეფრეიტორი კ. ზუევი. მეორე რიგში: საბჭოთა კავშირის გმირები — გვარდიის ლეიტენანტი ი. სიტოვი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ხ. როდიონოვი, გვარდიის კაპიტანი გ. სიდოროვი, გვარდიის კაპიტანი ა. ლოხანოვი, გვარდიის მაიორი გ. არმაშევი და მაიორი ა. შევცოვი.

ფოტო გ. შიროკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

კ. თარგამაძე

საყოველთაო-სახალხო მზრუნველობა

მხურვალე სიყვარულით, ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოცულნი საქართველოში ფრონტელთა ოჯახის წევრები. ხალხს ახსოვს და ასრულებს კიდევაც უმაღლესი მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ ფრონტელთა ოჯახებისთვის ზრუნვა არის ნახევარი მთელი ჩვენი მზრუნველობისა წითელი არმიისათვის. ფრონტელთა ცოლები, დედები და დები ყოველდღიურად გრძნობენ მთელი ხალხის დახმარებას და ხელშეწყობას. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავიანთი პირადი შრომით ცდილობენ ისინი დაეხმარონ ჭრმტს, მაბესა და ძმებს საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან მტრის განდევნის წმიდა საქმეში.

ზესტაფონის რაიონში მცხოვრები ფრონტელის ცოლი მარო ბოჭორიშვილი სწერს:

— უკვე ორი წელიწადია, რაც ჩემი ქმარი შალვა ბოჭორიშვილი ფრონტზე იმყოფება და ებრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. მე ვამაყობ ჩემი ქმრის საბრძოლო საგმირო საქმეებით და ვცდილობ ჩვენი ბავშვები აღვზარდოთ დედასამშობლისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

ჩემი ქმრის ფრონტზე წასვლის პირველი დღეებიდან მე თავს არ ვგრძნობ მარტოდ და მარტოწყებულად. ყოველდღიურად ეგრძნობ მზრუნველობას და ყურადღებას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ. ერთი თვის წინათ უფასოდ შემიკეთეს ბინა, ერთდროული ფულადი დახმარება გამიწიეს. ამას წინათ სამუშაოზე მომაწყეს.

დიდი მადლობა ჩვენს სამშობლოს, ჩვენს პარტიას დახმარებისა, ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ასეთი წერილი მრავალი ათასია. ჭგზავნის რა თვის საუკეთესო შვილებს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ სტოვებს უყურადღებოდ მათი ოჯახის წევრთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მარტო 6 თვის განმავლობაში — 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე ფრონტელთა ოჯახებს საქართველოში მიეცათ 110 მილიონზე მეტი მანეთი სახელმწიფო დახმარება.

საქართველოს კოლმეურნეებმა ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისთვის დასთესეს 1.100-ზე მეტი ჰექტარი ერთწლიანი კულტურები. სასურსათო ფონდიდან ფრონტელთა ოჯახებს მიეცათ 732.325 კილოგრამი მარცვალი, 32.116 კილოგრამი კარტოფილი, 5.500 კილოგრამი ლობიო, ერთ ტონაზე მეტი ერბო-კარაქი, 15.000-ზე მეტი ცალი კვერცხი და 5 ტონა სხვა სასურსათო საქონელი.

უდიდესი პოპულარობით და მთელი ხალხის ხელშეწყობით სარგებლობენ საქართველოს მშრომელთა ინიციატივით შექმნილი სპეციალური ფულადი, საპროდუქტო, სათესლე და სხვა ფონდები ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ფრონტელთა ოჯახების ერთდროული დახმარების ფონდი 4.483.883 მანეთამდე გაიზარდა. ამ ფონდიდან ფრონტელთა ოჯახებს დახმარება გაეწია 3 მილიონზე მეტი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს საწარმოთა მშრომელებს ფრონტელთა ოჯახების ძმური დახმარების ფონდში შეაქვთ პროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი, გამოშვებული სახელმწიფო გეგმის **გადამეტებით.** წელს ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულ უნდა იქნას 35.000 მეტრი შალეული, 22.000-ზე მეტი წყვილი ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელი, 30.000-ზე მეტი ცალი სხვადასხვა სატრიკოტაჟო ნაწარმი, 70 ტონა საპონი. 1 სექტემბრისათვის ეს გეგმა შესრულებული იყო 85 პროცენტით.

ცალკეული საწარმოები ფრონტელთა ოჯახების იმ წევრთათვის, რომელნიც საწარმოში მუშაობენ, დამატებით უშვებენ ფართო მოხმარების ნაწარმს ნედლეულისა და ნარჩენების რაციონალურად გამოყენების, მასალათა უსასტიკესი მომჭირნეობის გზით.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ, ტრიკოტაჟის კომბინატმა, სამკერვალო ფაბრიკამ და რესპუბლიკის ბევრმა სხვა საწარმომ მუშათა მომარაგების განყოფილების მაღაზიებიდან უკვე დაურიგეს ფრონტელთა ოჯახებს საკმაოდ ბევრი სამრეწველო საქონელი.

6 თვის განმავლობაში ფრონტელთა 137 ათასზე მეტმა ოჯახმა მიიღო ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ორდერები. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის გახსნილია ფეხსაცმლის შესაკეთებელი 25 სახელოსნო, რომელთა გამტარუნარიანობა 10 ათას წყვილ ფეხსაცმელს აღემატება თვეში. მარტო სარეწაო კავშირის სისტემის სახელოსნოებმა თბილისში შეაკეთეს 9.890 წყვილი ფეხსაცმელი.

ამ ბოლო დროს გაიხსნა 16 მაღაზია, რომლებიც სპეციალურად სამრეწველო და სასურსათო საქონელს ჰყიდიან ფრონტელთა ოჯახებისთვის. ქ. თბილისში სამხვაჭრობის სასადილოების გარდა მოწყობილია 3 სასადილო-საზეზარეულო ღღეში 600 სადილის გამტარუნარიანობით.

საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ფრონტელთა ოჯახის წევრებმა წელს ზაფხულში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მებოსტნეობაში. პროფკავშირულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ფართო დახმარება გაუწიეს მათ ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების შეძენასა და დამუშავებაში. სამხედრო მოსამსახურეთა 58 ბთასზე მეტმა ოჯახმა მიიღო წელს მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური ბოსტნებისათვის. მებოსტნეთა უმრავლესობას საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაეხმარნენ ნაკვეთების მოხვნასა, დათესვასა და დამუშავებაში, მოსავლის მოვლასა და მთლიანად აღებაში.

ფრონტელთა ოჯახების წევრებს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიათ პირუტყვის შეძენასა და მოვლაში. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებით ფრონტელთა ოჯახის წევრებსა და სამამულო ომის ინვალიდებს სპეციალური კრედიტები მიეცათ 500 ათასი მანეთის რაოდენობით პირუტყვის შესაძენად პირადი სარგებლობისათვის. 1 სექტემბრისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა უკვე გასცა კრედიტები 100 ათასზე მეტი მანეთის რაოდენობით. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომელთაც პირუტყვი არა ჰყავთ, მიეცათ 123 ძროხა, 422 თხა და ცხვარი. პირუტყვისათვის გამოყოფილია 70.323 ტონა სხვადასხვა საკვები.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საბინაო პირობები მუდამ დგას ფრონტელთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის ორგანოების ყურადღების ცენტრში. ფრონტელთა 1.636 ოჯახს მიეცა ბინები. უფასოდ შეკეთებულ იქნა 3.000-მდე ბინა, 991 ოჯახს მიეცა სხვადასხვა სამშენებლო მასალა ბინების რემონტისათვის. აგებულ იქნა 37 ახალი საცხოვრებელი სახლი.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და ყოფაცხოვრებითი მოწყობის სამმართველოსა და განყოფილებათა შექმნის პირველი დღეებიდანვე უყოყმანოდ სერიოზული ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების შრომითი მოწყობის საქმეს, მათ მიერ საჭირო საწარმოო ჩვევების შეძენის საქმეს.

1 მარტიდან 1 სექტემბრამდე საქართველოს საწარმოებში სამუშაო მიეცა ფრონტელთა ოჯახების 15.000-ზე მეტ წევრს. ფრონტელთა ოჯახების 1.100-ზე მეტი წევრი სამუშაოდ მოწყობილ იქნა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

წარმოებაში ახლახან მოსული ქალების საწარმოო სწავლებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი სტახანოველები, დიდი სპეციალისტები. წარმოების მოწინავე მეთაურები.

მოწინავე სტახანოველების — ფრონტელთა ცოლების, დედებისა და ღების თაობიერებმა, რაც ჩატარდა თბილისში და საქართველოს მეორე რიგ რაიონებში, ცალკეული, რომ

საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო - ს ა ხ ა ლ ხ ო მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ო ბ ა

ხულ ... ბ ... ...

წინ, მშობლიური მიწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის!



ქვემეხის მეთაური, უფროსი სერჟანტი დ. ე. ჯაველიძე (ბატარეის კომკავშირის ორგანიზატორი), რომელიც თავის ჯგუფთან ერთად მამაცურად იბრძვის გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ნახატი ა. ზუბარევისა.

„მტრის საბრძოლო დაცვა მოხსნილია“...

ის იყო გაბადრული მთვარის შუქზე თეთრად გამოიკვეთა არე-მარე, როცა ორდენოსანმა მაიორმა მ. გ. გაბუნიამ თავისი ქვეგანაყოფი გამოსასვლელ ზღუდეზე გამოიყვანა და საბრძოლო ამოცანა აუხსნა.

— დღეს გათენებამდე უნდა გავიაროთ ლაქაშებში მკერდამდე მდგომი წყალი, უხმაუროდ გავიდეთ მდინარე ნ-ს ჯებირთან, გადავლახოთ მდინარე, მოვხსნათ იქ მტრის საბრძოლო დაცვა და გავმაგრდეთ დაკავებულ ზღუდეზე.

ყველას ძალიან კარგად ესმოდა ამოცანის მთელი სერიოზულობა. ქვეგანაყოფის მეთაურები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ... ლაქაშებიდან გამომკრთალი მთვარის ნათელ შუქზე კარგად მოჩანდა მეთაურთა და მებრძოლთა გამოკვეთილი სახეები. ისინი მიაპობდნენ მკერდამდე მდგომ წყალს, რათა მოულოდნელად შებმოდნენ მტერს.

ბრძოლებში ნაცადი მაიორი გაბუნია ტელეფონის ხაზს ამოწმებს. ხაზი, რა თქმა უნდა, კარგად მუშაობს, თუმცა მეკავშირეებისათვის ეს ადვილი როდი იყო.

— ვარ მდინარე ნ-ის ჯებირთან. მდინარის სიმაღლე 1.10-1.20 მ., სიჩქარე—ნელი,—ატყობინება დაზვერვის უფროსი.

— შეუდექით ამოცანის მეორე ნაწილის შესრულებას.—მოკლედ უპასუხებს მაიორი.

ეს კი დაზვერვის უფროსისაგან, უმცროს ლეიტენანტ ფედოშენკოსაგან მოითხოვდა მდინარის გადალახვას და მტრის უახლოესი საცეცხლე წერტილების გამორკვევას, მაგრამ უსმაუროდ, უბრძოლველად. მებრძოლები სწრაფად მიიწევდნენ წინ. მდინარის გადალახვის რაიონში პირველი გავიდა თავისი შებრძოლებით ლეიტენანტი ნაუმენკო, მას მიჰყვნენ დანარჩენები...

ირგვლივ მაცდური და მრისხანე სიჩუმეა. ეს ჩამდგარი ქარია გრიგალის წინ. შაშობ, შენი სუნთქვით არ დაარღვიო სიჩუმე.

საკომანდო პუნქტი პატარა თხრილშია გაჭრილი. მაიორი გაბუნია დაზვერვის ცნობის მოლოდინში ოდნავ ღელავს. ჯერ ცნობა არ არის, არც ეგვიანება; მაგრამ მაიორს ფიქრი აწუხებს—იქნებ მტერმა შეესწრო მათი შეტყობა. მაგრამ არა, ყუბანელი ფედოშენკო არ შესცდება. მან ამ ომში ხომ დიდი გამოცდილება დააგროვა.

ცოტახანი, და დაზვერვა იტყობინება:

— მტრის საცეცხლე წერტილები გამორკვეულია... ვართ გაღმა. მაიორმა გაბუნიამ სწრაფად გადააჯვარედინა თავისი საცეცხლე საშუალებანი და ზუსტად დანიშნულ დროზე ლეიტენანტ ნაუმენკოს მებრძოლები უშიშრად გადაეშვნენ მდინარეში.

ჯერ კიდევ ყველანი არ გასულიყვნენ მდინარის მეორე ნაპირს, როცა მტერმა იგრძნო მიახლოვებული საფრთხე და ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი სროლა ასტეხა. ჩვენმა „მაქსიმებმა“ ხმაშეწყობილად მტერს გაუგზავნეს ცეცხლის პირველი რიგები.

მტერმა ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლი გამოიწვია. ნაღმებისა და ყუმბარების ახლო აფეთქება ჰაერს სძრავს და ირგვლივ თოფის წამლის კვამლს აყენებს. ყველგან ცეცხლის ენები ტრიალებენ.

საკომანდო პუნქტზე გაცხარებული მუშაობაა. ბრძოლის აღებული ტემპი არ უნდა შენელდეს. მოკავშირეები ზუსტად და თავის დროზე გადასცემენ განკარგულებებს.

დილამ ბრძოლის ცეცხლი კიდევ უფრო გააჩაღა. მებრძოლებსაც ბრძოლის ცეცხლი აქვთ წაკიდებული. მზვერავებმა მარჯვენა ფლანგიდან დაწყებული სროლით მტერს აკნობეს ჩვენების იქ ყოფნა, სადაც იგი არ მოელოდა.

მტერი დაიბნა, შეფრქა და უკანდახევა დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ერთეულებმა თუ შესძლეს ეოცხალი თავის გატანა.

— მტრის საბრძოლო დაცვა მოხსნილია. ჩემი ქვეგანაყოფი გამაგრდა მდინარის დასავლეთ ნაპირზე,—ატყობინებს შემდეგ შტაბს მაიორი გაბუნია.

გამარჯვებით გახარებული მეთაურები და მებრძოლები დაღლილობას არ გრძნობენ.

დილის ცივი სიო სველ ტანსა სჩხვლეტს და მზის ჩქარა ამოსვლას განატრებინებს. მზეც არ აყოვნებს.

კაპიტანი გ. ტ. ნიოკრაძე
მოქმედი არმია

ᲐᲠᲒᲘᲚᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲚᲔᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 25 სექტემბერი (საკუთარი სპეც. კორ.). მზვერავ არტილერისტს გვარდიის ეფრეიტორ პეტრე ტოკარევს საკომანდო პუნქტზე მოხსენება მიჰქონდა. ამ დროს ჩვენი წინა კიდის თავზე გამოჩნდა გერმანელთა თვითმფრინავი. მეზენიტეებმა სროლა ასტეხეს. ტოკარევმა დაინახა, რომ მტრის კვამლში გახვეული მანქანა მიწისაკენ წამოვიდა. მას მოშორდა ორი შავი წერტილი. ესენი იყვნენ ფაშისტი მფრინავები, რომლებიც პარაშუტებით გადმოხტნენ.

გერმანელებმა ვერ მოახერხეს თავის განკაგებაში დაშვება. ქარმა ისინი ჩვენი პოზიციებისაკენ წამოიღო. ისინი დაეშვნენ ხევში, რომლითაც ვარაუდობდნენ თავიანთ სანგრებამდე მისულიყვნენ. ტოკარევი ხევიდან რამდენიმე ათეულ მეტრზე იყო. არტილერისტი მიუხვდა ჰიტლერელებს განზრახვას და ავტომატმომარჯვებული გაექანა მათთვის ეზის ბოსტრელად. ერთ-ერთმა ფაშისტმა მფრინავმა რევოლვერი იძრო და ტოკარევს დაუძახა. მაგრამ საბჭოთა მეომარმა დაასწრო და ავტომატის ჯერით დააწვინა გერმანელი. მეორე მფრინავმა ხელები მაღლა ასწია. განიარაღებული გერმანელი მფრინავი გვარდიელმა ტოკარევმა თავისი ქვეგანაყოფის შტაბში მიიყვანა.

ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

(ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ)

მე გუშინ დუმილის დროსა —
როცა არ წიოდა ტყვია,
ვიგრძენი აპრილის მოხვლა
შევნიშნე პატარა ია.
ღიმილით შევეხე ნაზად,
მოვწყვიტე მთრთოლვარე ხელით,
მას მასრა დავუდგი ვაზად
და გახდა საუნჯე ჩემი!
იყო დრო ვცხოვრობდით ერთად
გვიყვარდა ვარდი და ია —
და ტირში ფაშისტის სახეს
სიცილით ვესროდით ტყვიას.
და ისიც მე კარგად მახსოვს
ტყვიაში ტყვია რომ ჩავსვი,
გავგმირე ფანერის კაცი —
ფაშისტი ვილურის მსგავსი.
და მაშინ მაღლობის ნიშნად
ლოყაზე მაკოცე ბლომად,
— ეს მიტომ, რომ მოხვდა ნიშანს
მაჩუქე იების კონა.

მას შემდეგ გავიდა ხანი,
მშვიდობა იყო და გაქრა.
აქ, ახლა რომ იყო ჩემთან
კარგია, მაგრამ მე რა ვქნა!?
და იცი ვინ მოვკალ გუშინ
არა ის — ფანერის კაცი,
ტირში რომ მოვკალი მაშინ, —
არამედ ნამდვილი ბანსი.
არ გიკვირს?.. ლითონის ხმაში
თავზე რომ დამწივის ტყვია,
ამ წუთში, ისე ვით იავშვი
შევხარი პატარა იას.
და გესმის ამას გწერ მიტომ
გავწიე ამდენი შრომა,
რომ აქაც იების ტრფობა
ვერ გადამაჩვია ომმა.
მასრაში ცომცმებს ია
ბავშვივით სინაზით ვუვლი,
მტრისაკენ ვაგზავნი ტყვიას
და შორით შეგბარი გულით.

რევაზ მარგიანი



პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენს აბარებს მაიორ ქრისტეფორე ასპანის-ძე გაფრინდაშვილს, მარცხნივ ორდენოსანი კაპიტანი ა. ა. ხარატიშვილი.

მეშვიდე ღამე

მზვერავი ვიქტორ ღვამბერია ზედიზედ ორ ღამეს გადასოხდა ფრონტის ხაზზე თავისი პოლკის წინ. ღამეები ბნელი იყო, ადგილი ნაცნობი, და მზვერავისათვის თითქმის არაფერს არ შეუშლია ხელი. მაგრამ წარმატება მაინც არ ჰქონდა. ორჯერ დაბრუნდა განთიადისას და ნაღვლიანად მოახსენა თავის მეთაურს, დავალება შესრულებული არ არისო. მესამეჯერ ვიქტორმა „მოენე“ მოიყვანა. მაგრამ მოსულელო შეაბმა-მესაზიდრემ მნიშვნელოვანი ვერაფერი სთქვა, მან ხალისით განაცხადა, რომ ჰყავდა ჩალისფერი ფაშატი, სახელად პოლდი, რომელიც იმდენ შვრიას სჭამდა, რამდენსაც მსოფლიოში ვერც ერთი სხვა ცხენი ვერ შესჭამდაო. მეტი კი არაფერი იცოდა. მაიორმა კიკომ განკარგულება გასცა გერმანელი ზურგში გაეგზავნათ, აზვერავს კი მოღუშულმა უთხრა:

— ყველაფერი ეს, ღვამბერია, იმიტომ მოხდა, რომ მეტისმეტად დაგცდე.

— ნება მომეცით ერთხელ კიდევ წავიდე, — უთხრა დარცხვენილმა მზვერავმა მაიორს.—სიბნელეში ვერ გავარჩიე, როგორი გერმანელი მომყავდა.

მაიორ კიკოს ძალიან უყვარდა ვიქტორი. ის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და მარჯვე მზვერავი იყო.

ვარსკვლავები კიდევ არ ჩამქრალიყო, ვიქტორ ღვამბერია მეოთხე დაზვერვიდან რომ დაბრუნდა. მას ზურგით მოჰქონდა, გერმანელი, რომელიც ისე აფართხალებდა ფეხებს, როგორც მუყაოს ჯამაზი ბაზრობაზე. მაგრამ გერმანელი გონსაერ მოსულა, ისე მოკვდა. ღვამბერია მიწურში შევიდა. მაიორს თავისი საბრძოლო მედლები გაუწოდა და მოკლედ უთხრა:

— ღირსი არა ვარ.

— შენ ხომ არ გაგიჟდი?—შეეხება მაიორმა კიკომ თავის მზვერავს.

— დამიბრუნეთ, როცა ამოცანას შეასრულებ,—უპასუხა ვიქტორმა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: ნება მომეცით წავიდე, ამხანაგო მაიორო.

...მეხუთე ღამეს ვიქტორ ღვამბერია თავისი მიწურიდან გამოვიდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ არ დაბრუნებულიყო სანამ „მოენეს“ არ მოიყვანდა. საბრძოლო დაცვის საგუშაგოს გვერდით ჩაუარა და „ნეიტრალურ“ ხევში ჩავიდა. მოფარებული ადგილი იყო. უნდოდა თამბაქო მოეწია, სანამ გზას გაუდგებოდა, მაგრამ ჯიბეები რომ ბოისინჯა, დარწმუნდა, რომ ტანისამოსის გამოცვლისას ჯიბეში თამბაქოს ჩადება დავიწყებოდა. ვიქტორი მივიდა ხევის იქითა ფერდობამდე და ხოხვით იწყო მაღლა ასვლა. ათიოდე ნაბიჯი-და ეჭნებოდა გასავლელი, რომ ბუჩქი, რომელსაც ხელი ჩასვიდა, უეცრად ძირფესვიანად ამოვარდა მიწიდან. მზვერავი ხევის ფსკერში ჩაგორდა. გერმანელებმა ხმაური გაიგონეს და გააფთრებული სროლა ასტეხეს. ვიქტორი მთელ ღამეს იწვა ხევში, გაუფრთხილებლობისათვის ლანძღავდა თავის თავს და თამბაქოს უქონლობის გამო ბრაზობდა. მაგრამ ვინაიდან თავისი ქცევის საფუძვლად აღებული ჰქონდა სამი წესი—თვალყურის დევნება, მოთმინება და გამბედაობა,—იგი მზად იყო კიდევ ათ ღამეს წოლილიყო, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია.

წარმატება არც მეექვსე ღამეს მოჰყოლია. გერმანელები დაბინდებიდანვე განუწყვეტლივ უშენდნენ ხევსა და ჩვენს წინა კიდეს. ამოცანის შესასრულებლად წასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ვიქტორმა ერთი ღამე და დღე კიდევ გაატარა ხევში და, ბოლოს, მეშვიდე დამის წყვდიადმა დაჰფარა იგი. მზვერავმა ფერდობზე ხოხვით პირდაპირ, გერმანელთა პოზიციებისაკენ გაიწია. იფეთქა გამაშუქებელმა რაკეტმა, და ვიდრე იგი ჩაიწვოდა და გაიფანტებოდა, ღვამბერიას მეხსიერებაში აღებეჭდა ერთ წამს გაელვებული სურათი: გამხმარი მაღალი ბალახი, ბრტყელი ხიშტი ბლინდაჟის თავზე, ბლინდაჟის ცუდად შენიღბული ბორცვისებრი სახურავი და ბლინდაჟს იქით მიმალული გერმანელი გუშაგის უძრავი ნაცრისფერი მუზარადი. გუშაგმა ვერ გაიგონა შრიალი: გაზაფხულის ძლიერი ქარი ყველა ბგერას ერთ საერთო გაბმულ გუგუნში ურევდა. ვიქტორი სულგანაბული იწვა... ამ გუშაგის ხელში ჩაგდება ადვილი იყო. მაგრამ ვაი თუ ისიც ისეთივე გამომდგარიყო, როგორც მესამე ღამეს შეპყრობილი მესაზიდრე. საჭირო იყო ნამდვილი, მცოდნე „მოენე“. წინ ჯერ კიდევ საკმაოდ გრძელი ღამე იყო, და მზვერავს შეეძლო ელოდა...

აი ბლინდაჟიდან გამოვიდა ვიღაც და დაბალი ხმით დაუწყო ლაპარაკი გუშაგს. ვიქტორი მიხვდა, რომ მიწურიდან გამოსული ოფიცერი უნდა ყოფილიყო,—ეს სწორედ ის იყო, ვის გულისთვისაც მას მეშვიდე ღამეა არ სძინებია. მზვერავის ორი წესი—მოთმინება და დაკვირვება—უკვე გამოყენებული იყო, ახლა მესამე წესი უნდა გამოეყენებინა—ემოქმედნა გაბედულად და მტკიცედ. გერმანელი ბლინდაჟში შებრუნდა, მაგრამ ვიქტორმა უკვე იცოდა, რომ მეშვიდე ღამე წარმატებას მოუტანდა. ბლინდაჟთან მდგომმა გუშაგმა ერთ ადგილზე იტოკა, შემდეგ ერთი წამით გარინდდა, თითქოს რაღაც მოესმაო. და ჯიქურ გასწია იქითკენ, სადაც ვიქტორი იწვა. მზვერავი დარწმუნებული იყო, რომ არ გაუმეღავნებია თავი არც ერთი მოძრაობით, მაგრამ მისმა გულმა მაინც უმატა ძგერას. ვიქტორიდან ორ ნაბიჯზე გერმანელი შეჩერდა. ბედი თვითონ უვარდებოდა ხელში მზვერავს. იდაყვებზე წამოიწია, სწრაფად მიხოხდა გერმანელთან, მუხლებს ქვემოთ ფეხებში სტაცა ხელი და მძლავრი მოქნევით ძირს დასცა. ერთი წუთის შემდეგ თვალებზე გუშაგის მუზარადჩამოფხატული და ხელში გერმანული შაშხანამომარჯვებული ვიქტორი ბლინდაჟის შესავალთან იდგა.

ბლინდაჟში მყუდროება სუფევდა. ბოლოს გაისმა აუჩქარებელი ნაბიჯები, ვიღაც რბილად მოაფრატუნებდა გამოსასვლელისაკენ. ვიქტორმა გერმანელი გუშაგის კარგად შესწავლილი პოზა მიიღო და გაქვავდა. გაიღო კარი. კიბის საფეხურებით მაღალი, ბრგე ოფიცერი ამოდიოდა. იგი უქუდოდ იყო და გრძელ უხეშ თმას ქარი უწეწავდა. ჯზადაგზა ქოშების სწორებით გერმანელი მაღლა ამოვიდა და სიცივისაგან ათრთოლებული მზვერავისაკენ ზურგშექცევით გაჩერდა. ვიქტორი ელოდა ამ წამს. იგი მზად იყო. ფრთხილად მიაყრდნო შაშხანა ბლინდაჟის ფერდობს და ნაგანის ტარი ჩაჰკრა თავზე ოფიცერს, თან იქვე შეაშველა ხელი გრძნობადაკარგულ გერმანელს, რომ დაცემით ხმაური არ გამოეწვია.

...მაიორ კიკოს ცუდად ეძინა. იგი იმან გამოაღვიძა, რომ მიწურში ვიღაც შევიდა დიმძიმე ხვნეშით შეჩერდა. სჩანს, ვერ გაებედნა მისი გაღვიძება.

— მზვერავები დაბრუნდნენ?—თვალაუხელად იკითხა მაიორმა.

— არ ვიცი, ამხანაგო მაიორო,—უპასუხა ვიქტორმა.

მაიორმა იცნო მისი ხმა და წამოხტა. მან ფხრებში ჩააცო ხელი მზვერავს, ანჯღრევდა, ბეჭებზე ხელს არტყამდა და საერთოდ აშკარად გამოხატავდა თავის სიხარულს, რაც მას ძალიან აშფოთებდა. შემოიყვანეს ტყვეები. მაიორმა უბრძანა ხელ-ფეხ გაეხსნათ ტყვეებისათვის. გერმანელები—ოფიცერი და ჯარისკაცი—თვალებდაჭყეტილი შესცქეროდნენ ერთმანეთს. მაიორმა კიკომ ბრძანა წაეყვანათ ისინი და თვითონაც გასასვლელისკენ გაემართა. კართან მდგომმა ვიქტორმა როგორღაც გაუბედავად და თითქოს დარცხვენით მიმართა:

— ამხანაგო მაიორო, ჩემი მედლები... მაშინ სიფიცხით მომეიდა... ახლა ვწუხვარ...

— მიიღე, ვიქტორ, შენი მედლები, — მხიარულად უთხრა მაიორმა და მედლები ჯიბიდან ამოიღო.—ხვალ კი, იქნებ, ახალი მიიღო.

ასე დამთავრდა მზვერავ ვიქტორ ღვამბერიას მეშვიდე ღამე.

ლეონიდ პერვომაისკი
მოქმედი არმია.

ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ, ᲒᲕᲐᲠᲓᲝ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲩᲐᲮᲐᲕᲐᲜᲘᲫᲔ

აგერ, მეც თქვენთან მოვედი,
მახვილად მომაქვს კალამი,
მშობლიურ და-ძმებს, მეგობრებს
ჩემი გულთბილი სალამი.

დღეს ჩემი ლექსი ყოველი
თქვენს ბრძოლებს აქებს, იგონებს,
სამშობლოს ჯარისკაცი ვარ,
ომისთვის ვრაზმავ სტრიქონებს.

თქვენმა გმირობამ მამულის
სიმტკიცე გამოიჩინა,
საქართველოში მესმოდა
თქვენი მედგარი იყიენა.

მე ვნახე თქვენი მამები, —
ხელხვავიანი, მშრომელი,
იქაც ფრონტისთვის იღწვიან
შუბლზე ოფლ-შეუშრობელი.

მკათათვე არის, წყალი დუღს,
ბრუნავს წისქვილის ბორბალი,
თქვენთვის ილებენ მოსავალს,
თქვენთვის იფქვევა ხორბალი.

მე ვნახე თქვენი დედები, —
ქართველი მანდილოსნები,
თვალებში ცეცხლი უკრთოდათ
თქვენზე ფიქრით და ოცნებით.

ქსოვდნენ, თან გრძნობებს აქსოვდნენ,
ქსოვდნენ რვალისფერ ხალათებს,
არ გაიკრება მახვილით,
ვაუკაცს არ დაალალატებს.

მერცხლების ყღორტულს უსმენდნენ, —
გულლიათ ფრთებ-გაშლილისა,
ამბავი ჩამოეტანათ
ომში წასული შვილისა.

მე ვნახე თქვენი ცოლები,
თქვენივე გულის ტრფიალიც,
ჰშვენოდათ შრომის ხალისი,
ხელში ნამგლების ტრიალი.

ძნებს ჰკრავდნენ, ლეწდნენ კალოზე,
ოქრო ეყარა ველზედა,
ძნებს ჰკრავდნენ, ქამრებს აკრავდნენ
თამარ-დედოფლის წელზედა.

თქვენზე ფიქრობენ, დარდობენ,
ყოფნა უთქვენოთ ძნელია,
და გამარჯვების დროშებით
კვლავ სამშობლოში გელიან.

მე ვნახე თქვენი ბავშვებიც,
ბაღში ჰყვაოდნენ ვარდებათ,
ნიავთან ერთად ამბობენ
ინდვრეაზე განდარდებულ...

თან დამაბარეს — გადმოგცეთ
შორიდან კოცნა ულევი,
ეს ბარათებიც... ბავშვურად
ნაწერი, ნაჩურჩულევი.

მტკვარი კვლავ მღერის ტფილისზე,
მოქუხს, მოელავს მთაბარად,
თერგმაც ივივე მიამბო
არაგვმა რაც დამბარა.

ღიმილით შემხვდა ყაზბეგი,
გამოვუარე დარიალს,
დარია? კლდეებს შევსძახე
და მიპასუხეს: დარია!

მტრებს ჰსურდათ ხიხლით მოერწყოთ
ჩვენი მთები და ველები,
ჩვენს აოხრებას ჰლამობდნენ
ყაჩაღნი, კაცისმკვლელები.

მაგრამ, კავკავის კარებთან
დავხვდით, დაებნათ გზაკვალი,
გაუთელავი გადარჩა
ქართლი — ბელადის აკვანი.

ის იდგა ხალი-კლდესავით,
ყორნები მოიგერია,
მას ბრძენის დროშა ფარავდა,
მას დარაჯობდა ბერია.

იელვა, ისევ დაიწყო
ჭექა-ქუხილი სროლისა,
ისევ სასტიკი დრო დადგა
მტერთან პირისპირ ორძოლისა.

აიშვნენ, წვიმილ-ყინვილით
ადგნენ, დალეწეს ხუნდები,
ყვავ-ყორნებს გამოეკიდნენ
რკინის არწივთა გუნდები.

ხვრელიდან, ბუნაგებიდან
ამოძვრენ „არიელები“,
გერმანელ „ვეფხებს“ ეძგერენ
საბჭოთა ტარიელები.

კმარა! შუბლიურ მიწაზე
რაც ვერაგს უნავარდია,
დაიძრა გრიგალქარული
თავართქილაძის გვარდია.

წინ, მებრძოლებო! მტერს დავსცხოთ
ცეცხლი სიკვდილის მთესავი,
წინ! დასავლეთით მიგვიძღვის
სტალინის დროშა მზესავით.

მალე მტერს ალგვის აქედან
თქვენი მარჯვენა ქმბული,
მალე მენახოთ სახლებში
მშვიდობით დაბრუნებული.

*) წაკითხულია ავტორის მიერ ფრონტზე მოქმედი არმიის ქართველი მებრძოლებს წინაშე 1943 წ. 7 აგვისტოს.

ᲡᲘᲛᲬᲙᲘᲪᲔ, ᲒᲣᲚᲐᲓᲝᲑᲐ, ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ

(„ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

მთელ შენაერთში მებრძოლები და მეთაურები უდიდესი სიყვარულით იხსენიებენ საველმწიფო უშიშროების ლეიტენანტ არტაშ გრიგოლის-ძე ქოვლოევს, რომელმაც გერმანელ ფაშისტს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში სიმტკიცის, გულადობისა და მოხერხებულობის შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენა.

ქვეგანაყოფის მეთაურს ამხ. ამირიძეს საბრძოლო ამოცანა მიეცა — ჰიტლერელები გაერეკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტიდან. ქვეგანაყოფი შეუდგა ამოცანის განხორციელებას.

გერმანელებმა შეამჩნიეს რა, რომ ჩვენი მებრძოლები მათ ფლანგიდან უვლიდნენ, ყველა სახის იარაღის გრიგალისებური ცეცხლი დაგვიშინეს.

— არ შედრკეთ, — გასძახა ამირიძემ, — ხოხვით მხოლოდ წინ!

ამოქმედდნენ ჩვენი ნაღმსატყორცნები, „ალაპარაკდნენ“ დაზგის ტყვიამფრქვევები. მსროლელები წინ მიიწევდნენ და მტერს 150 მეტრამდე მიუახლოვდნენ. წინსვლა შეუძლებელი გახდა. მიწის თითოეულ კვადრატზე ხორხოშელასავით მოდიოდა ტყვია. მებრძოლები იძულებული გახდნენ ჩასანგრებულიყვნენ.

არ გაუვლია 10-15 წუთს, რომ საბჭოთა მეომრებმა განაახლეს შეტევა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული შეიქმნა. ქვეგანაყოფის მეთაური დაიჭრა. ამ დროს გაისმა ამხ. ქოვლოევის მშეყარე ხმა:

— ქვეგანაყოფის მეთაურობას მე ვკისრულობ, ისმინეთ ჩემი ბრძანება!

და მებრძოლები კვლავ წინ წავიდნენ. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს ჩვენი მეომრების უტეხ ნებისყოფას, მათს შეტევას და უწესრიგოდ უკან დაიხიეს. ამით ისარგებლეს ჩვენმა მებრძოლებმა და სწრაფი მანევრირებით გამანადგურებელი დარტყმა აგემეს გერმანელებს. ქვეგანაყოფმა ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. ამხ. ქოვლოევის ინიციატივამ და მოხერხებულობამ გაიმარჯვა.

სოფელ ბ-სთან ქვეგანაყოფმა ამოცანა მიიღო: შემოვევლო მტრისათვის ზურგიდან და მოულოდნელი დარტყმით განედევნა ტაქტიკური თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტიდან, რომელიც გერმანელებს ძლიერ გაემაგრებინათ. პირდაპირი გზით თუ საჭირო იყო აღნიშნულ დასახლებულ პუნქტამდე 30 კილომეტრის გავლა, შემოვლით გზა 80 კილომეტრს აღემატებოდა.

მაგრამ ჩვენი მეომრებისათვის არაფერს შეეძლო ხელი შეეშალა სარდლობის ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებაში. მოსამზადებელი მუშაობა სწრაფად ჩატარდა. საომარი მასალები მოიმარაგეს, მოწყობილობა მოირგეს და გაუდგნენ გზას. მალე მეიდნენ შეტევის დასაწყებად მიჩნეულ ადგილზე. პარტბიუროს მდივანმა ვიქტორ ჯაფარიძემ და ოგიტატორმა არჩილ ნარჩემაშვილმა მებრძოლებს ჩამოუარეს, გაამხნევეს, ზოგიერთი რამ ახალი უთხრეს ინდივიდუალურად. ინდივიდუალურ ბრძოლებში ... ...

დეპეშები

ამერიკული ჟურნალი წითელი არმიის წარმატებათა მიზეზების შესახებ

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი (საკდესი). ჟურნალ „ფორეინ აფერსის“ ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ამერიკელ ჟურნალისტ ლელანდ სტოუს სტატია წითელი არმიის შესახებ.

„წითელი არმიის ჭეშმარიტი სიდიადე ახლა მთელმა მსოფლიომ შეიტყო“,—სწერს სტოუ.

ამერიკელი ჟურნალისტი აღნიშნავს „ხელმძღვანელობის მაღალ ხარისხს ზემოდან სულ ქვემომდე“. ეს ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილია გამოცდილი ოფიცრების უაღრესად დიდი რაოდენობით. არმიის კარგი მომზადება ემყარება ფიზიკურ ამტანობას, მოხერხებას, შრომისუნარიანობას.

სტატიის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს რუსეთის „მძლავრ, მარჯვედ მსროლელ არტილერიას“, რომელმაც შეასრულა „გადამწყვეტი როლი გერმანელთა მექანიზებული დივიზიების წინააღმდეგ ბრძოლაში“. ის აღნიშნავს აგრეთვე იმ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა კავშირმა ტანკებისა და სხვადასხვა ტიპის პირველხარისხოვანი თვითმფრინავების მშენებლობაში.

ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელი არმია რუსეთის პირველი არმიაა, რომლის თითოეული ჯარისკაცი კარგად არის ჩაცმული და შეიარაღებული, და რუსეთის პირველი არმიაა, რომელიც თითქმის მთლიანად წერა-კითხვის მცოდნე ჯარისკაცებისაგან შესდგება.

სტატიის ავტორი აღნიშნავს „თავდაცვისა და შეტევის ფართოდ მოსაზრებული გენერალური გეგმის ლოგიკურ განვითარებას მარშალ იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით. სტალინის სიმტკიცისა და მამაცობის მაგალითი იყო მისი გადაწყვეტილება შეენარჩუნებინა სტალინგრადი“.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის მერვე არმია განაგრძობს წინსვლას სანსევეროდან დასავლეთისაკენ. ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა დაიკავეს ფრიჯენტო და ბენევენტო.

როგორც კაიროს რადიო გადმოგვცემს, ამერიკის მეხუთე არმია ახლა შორს გასცდა ნეაპოლს და ავიწროებს გერმანიის ჯარებს, რომელნიც უკან იხევენ რომისაკენ.

ადრიატიკის სანაპიროზე ინგლისის მერვე არმია სწრაფად მიიწევს წინ ლუჩერიდან.

ლონდონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). კაიროს რადიოს ცნობით, ამერიკის მეხუთე არმიამ დაიკავა ვალადა. მეხუთე არმიამ მიაღწია გროტამინარდს, რომელიც ბენევენტოდან 15 კილომეტრზე მდებარეობს.

ჰარიმანის დანიშვნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად სსრ კავშირში

ვაშინგტონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). თეთრმა სახლმა გუშინ გამოაცხადა, რომ ავერელ ჰარიმანი დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად სსრ კავშირში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 2 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა 3 ოქტომბერს ღამით მოახდინეს გაფთრებული თავდასხმა კასელზე. ინგლისის 24 ბომბდამშენი ბაზებში არ დაბრუნებულა.

ლონდონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა 3 ოქტომბერს ღამით მოახდინეს გაფთრებული თავდასხმა ლეიფციგზე. ინგლისის ბომბდამშენები ღამით ამერიკის თვითმფრინავებმა „მფრინავი სიმაგრეები“ თავს დაესხნენ ფრანკფურტს.

თურქული გაზეთები დასცინიან ჰიტლერული პროპაგანდის უბედურებას ხრიკებს

სტამბული, 3 ოქტომბერი (საკდესი). მთელი რიგი თურქული გაზეთები („ტანინი“, „ენი საბახი“, „ტანი“), ანალიზს უკეთებენ ინგლისელ-ამერიკელთა ჯარების ოპერაციებს ნეაპოლის მიდამოებში. ეს გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინგლისელ-ამერიკელთა ჯარებმა ოკუპაციის ადგილებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ბრძოლა გაუმართეს ფაშისტურ ჯარებს.

ბრძოლა ბალკანეთში

ანკარა, 3 ოქტომბერი (საკდესი). ბალკანეთიდან ანკარაში ჩასულ ადამიანთა ცნობით, ბალკანეთში ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ბალკანელ პარტიზანებს ბრძოლა აქვთ გაბმული ალბანეთის, ბულგარეთის, ბერძნეთის, ხორვატიისა და ბოსნიის ტერიტორიებზე. ბალკანეთში ბრძოლა ბევრ ადგილას ბრძოლად ქალაქებისთვის ხასიათს ატარებს.

ომი ზღვაზე

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ოფიცრებს ბრძანებეს ეცემინათ ინგლისელ-ამერიკელ ტანკერებზე ბრძოლა ბალკანეთის ნავსადგურებისა და ბერძნეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, ხორვატიისა და ბოსნიის ტერიტორიებზე.

ომი ზღვაში

ანკარა, 3 ოქტომბერი (საკდესი). ანკარაში ჩასულ ადამიანთა ცნობით, ბალკანეთში ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ბალკანელ პარტიზანებს ბრძოლა აქვთ გაბმული ალბანეთის, ბულგარეთის, ბერძნეთის, ხორვატიისა და ბოსნიის ტერიტორიებზე. ბალკანეთში ბრძოლა ბევრ ადგილას ბრძოლად ქალაქებისთვის ხასიათს ატარებს.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავი ნადია ბელთაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გორის საკონსერვო ქარხანამ სექტემბრის დაკალება გადაჭარბებით შეასრულა

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია წინასოციალისტურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სექტემბრის საწარმოო გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. სექტემბერში განსაკუთრებით კარგად იმუშავა სოფ. მეჯვრისხევის ხილის სახმობმა ქარხანამ, რომელმაც ბოსტნეულის ხმობის სექტემბრის გეგმა 117 პროცენტით შეასრულა.

გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა აიღო ვალდებულება ახალი წარმატებით შეხვდეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

შ. ჩუბინიძე

საქართველოს მრეწველობის საწარმოებში

○ **200 კვალიფიციური ახალგაზრდა მუშა** მოამზადა და რკინიგზის საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნა ლ. პ. ბერიას სახელობის აბერ-კავკასიის რკინიგზის № 1 სასწავლებელმა. ერთ თვეზე მეტია ისინი საწარმოებში მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ახლად გამოშვებულ მუშებს შორის არიან მემანქანეთა თანაშემწეები, ელექტროშემდუღებლები, მჭედლები, ზეინკლები, მექვაბეები და დურგლები.

○ **იმ ქარხანაში,** სადა დირექტორად არის ამხ. ხითარიშვილი, ოსტატმა-რაციონალიზატორმა ამხ. დეილიკმა მოაწყო მნიშვნელოვანი დეტალების მოსაპირკეთებელი მექანიზმი, რომლითაც თითოეულ დეტალს ნაცვლად 1 საათისა და 25 წუთისა, უშვებენ 15 წუთში, იმავე ქარხნის რაციონალიზატორმა ამხ. კვეზერელმა მოაწყო დეტალის საბურღავი დანადგარი, რომლითაც სავსებით აღმოფხვრილია წუნი დეტალების დამუშავების ამ უბანზე.

„ფაშისტების მხეცობა“

ნახატი მხატვარ ვ. ტოროტაძისა

საბჭოთა საქართველოდან

ახალი კინოსცენარები

თბილისის კინოსტუდიისათვის სცენარებს სწერენ მთელი რიგი მწერლები: მ. ჯიაურელი და პ. პავლენკო მუშაობენ დიდი მასშტაბის ფილმის სცენარზე სახელწოდებით „ფიცი“. გ. ლეონიძე სწერს სცენარს თბილისის შესახებ—„თბილისის ვარსკვლავები“. ს. ჩიქოვანი და ლ. ორლოვი მუშაობენ ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმის სცენარზე „დავით გურამიშვილი“.

სამამულო ომის თემაზე სწერენ სცენარებს შ. დადიანი, გ. მდივანი და შ. ღონღაძე. ს. კლდიაშვილი თავისი პიესის მიხედვით სწერს სცენარს „ირმის ხევი“. ნ. მიქავა და ა. ფილიმონოვი სამამულო ომის თემაზე სწერენ მუსიკალური კომედიის სცენარს „მსახიობის სიყვარული“.

ისტორიული ფილმის „ერეკლე მეფის“ სცენარს თავისი პიესის მიხედვით სწერს ლ. გოთუა.

ახალგაზრდა რეჟისორთა შემოქმედების დათვალიერება

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის განკარგულებით წელს ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში საქართველოში ჩატარდება იმ რეჟისორთა შემოქმედების დათვალიერება, რომლებიც დამოუკიდებელ სარეჟისორო მუშაობას ეწევიან 1936 წლის შემდეგ. გამოყოფილია დამთვალიერებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. კანდელაკი (თავმჯდომარე), შ. კილოსანიძე, ა. ხორავა, ა. თაყაიშვილი, ვ. ნინიძე, ვ. ყუშიტაშვილი, ა. აბარიანი, დ. მჭედლიშვილი, ა. რუბინი, ი. გვინჩიძე, დ. ჯანელიძე, გ. ნუცუბიძე, გ. გულია, ვანლიში და ბ. გალაევი.

დათვალიერებაში ჩაბმული არიან შემდეგი რეჟისორები: ვ. ტაბლიაშვილი (მარჯანიშვილის თეატრი), გ. ტოვსტონოგოვი (გრიბოედოვის თეატრი), ფ. ბაიკიანი (სომხური დრამა), ა. ბილალოვი (აზერბაიჯანული თეატრი), გ. ჟორდანია და თ. წეროძე (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი), ლ. ფიდანიანი და ო. ვარძიგულიანი (მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი), გ. ტყაბლაძე (ჭიათურა), ვ. ბოჭორიშვილი (თელავი), ო. აღექსიშვილი და ბ. მაღლაკელიძე (გორი), თ. ლორთქიფანიძე (ფოთი), დ. არუთინოვი (ლაგოდეხი), ვ. მარგიანი (მესტია), ს. ოყრუშიძე (ქუთაისი), ზ. ჩაბიევა, გ. მებურნუთოვი, ვ. კაიროვი და გ. კაბისოვი (სტალინირი).

ქართულ პიესათა ცნობარი

საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშაკი ამხ. შ. კილოსანიძე ადგენს საინტერესო წიგნს—ქართულ ორიგინალურ პიესათა ცნობარს. წიგნში აღნიშნული იქნება პიესის სახელწოდება, ავტორის ვინაობა, ყანრი, მოქმედების რაოდენობა, დაწერის წელი. უკვე შეგროვილია 1.500-ზე მეტი პიესის სახელწოდება. ყველაზე უძველესი პიესა 1830 წელს ეკუთვნის. ცნობარის სისრულისათვის საჭიროა ყველამ, ვისაც აქვს ცნობები ქართული ორიგინალური პიესის შესახებ, აცნობოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ამხ. შ. კილოსანიძეს.

ახალციხის რაიონის სოფ. დილისკას მიქოიანის სახ. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ალოიანი წითელი არმიისათვის აბარებს თბილ ნივთებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილი ნივთები წითელი არმიის მებრძოლებს

ასპინძის რაიონის მშრომელები დიდი ხალისით აგროვებენ თბილ ნივთებს წითელი არმიის მებრძოლებისათვის. რაიონში უკვე შეგროვებულია 1.000 წყვილი წინდა, 900 წყვილი ხელთათმანი და 100 კილოგრამი მატყლი.

ქვემო ოშორის სასოფლო საბჭოს მრომელებმა ფრონტელებს შეუგროვეს 102 წყვილი წინდა, 100 წყვილი ხელთათმანი და 12 კილოგრამი მატყლი. ამათ არ ჩამორჩებიან ზველის, ნაქალაქევის, რუსთავის, ბალოშეთის და ვანის სასოფლო საბჭოების ორომელნი, რომლებმაც ასობით თბილი ნივთები დაამზადეს და გაუგზავნეს გმირ მებრძოლებს. სოფ. ვარგავის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ წევრმა რისიმე შეშაბერიძემ, რომელსაც 5 შვილი ჰყავს ფრონტზე, სამ დღეში ხუთი წყვილი წინდა მოქსოვა და ჩააბარა შემგროვებელ კომისიას.

ვ. თამაზაშვილი

პირნინაღებით ხუთკილომეტრიანი გადასვლის 14 ათასი მონაწილე

9 ოქტომბერს თბილისში IX სრულიადსაკავშირო ქიმიური შეჯიბრების დამთავრების აღსანიშნავად, შეჯიბრებისა, რომელშიც საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა, ჩატარდა დიდი გასამხედროებული ხუთკილომეტრიანი გადასვლა აირწინაღებით. გადასვლაში მონაწილეობა მიიღო 14 ათასამდე კაცმა. ლაშქრობას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

ავტომანქანებზე, რომლებიც ლაშქრობას ახლდნენ, მოწყობილ იქნა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის გამოფენები. ლაშქრობაში შესვლისას გამოშვებულ იქნა 300-ზე მეტი საბრძოლო ფურცელი, ჩატარდა საჩვენებელი მეცადინეობა მომწამვლავ ნივთიერებათაგან „დაზარალებულთათვის“ პირველი დახმარების აღმოჩენის საქმეში.

ლაშქრობის ჩატარებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ორჯონიკიძის, კიროვისა და სტალინის რაიონებმა, რომელთაგან თითოეულმა გამოიყვანა 2,5-3 ათასი მონაწილე. ჩინებული მომზადება და გამძლეობა გამოამჟღავნეს თამბაქოს, მაუდისა და აბრეშუმ-საქოვი ფაბრიკების, სტალინის სახელობის ქარხნის ქვეგანაყოფებმა, სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ცხენოსანთა ოცეულმა, თბილისის უნივერსიტეტის ქვეგანაყოფმა.

ლაშქრობის დასასრულს ბერიას სახელობის მოედანზე გაიმართა მიტინგი. (საქდესი).

ესტონეთისა და საქართველოს სპორტსმენთა შეხვედრა

3 ოქტომბერს თბილისში, კიროვის სახელობის პარკში ესტონელ ჩოგბურთელებს ამ. ხანაგური შეხვედრა ჰქონდათ თბილისელ ჩოგბურთელებთან.

ესტონელმა ალასმა ელერდაშვილს მოუგო ანგარიშით 6:1, 10:8. კრეემ პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს ორგზის ჩემპიონთან თბილისელ კრუპენიკოვთან წაგო ანგარიშით 5:7, 4:6.

წყვილთა თამაშში ალასმა და კრეემ მოუგეს ელერდაშვილსა და კრუპენიკოვს (ანგარიშით 7:5, 2:6, 6:2). კალათბურთელთა მორიგ მატჩში ესტონელების წინააღმდეგ გამოვიდა ქუთაისის „დინამოს“ გუნდი, რომელმაც წელს საქართველოს პირველობა მოიპოვა. ქუთაისელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 37:32. (საქდესი).

სასამართლო

საკოლმეურნეო ქონების გამნიკეებლების გასამართლება

ამ დღეებში საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისლის სამართლის სასამართლო კოლეგიის გამსელელმა სესიამ ამხ. ეფრემიძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების თ. ზარიძის, თ. ბაინდურაშვილის და პროკურორ ე. კაპანაძის მონაწილეობით განიხილა საკოლმეურნეო ქონების ქურდების ალექსანდრე ანდრიას-ძე ქავთარაძის, ვასილ მამუკას-ძე და გაბო აღდგომელას-ძე აფციაურების საქმე, ბრალდების გამო, რომელიც გათვალისწინებულია 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით.

ზემოაღნიშნულმა პირებმა წინასწარი შეთანხმებით გასტეხეს კასპის რაიონის სოფ. გოსტიბის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის საწყობი და 1.300 კილოგრამი კარტოფილი მოიპარეს.

სისხლის სამართლის სასამართლოს გამსელელმა სესიამ ბრალდებულ ალექსანდრე ანდრიას-ძე ქავთარაძეს, ვასილ მამუკას-ძე და გაბო აღდგომელას-ძე აფციაურებს საკოლმეურნეო ქონების მოპარვისათვის მიესაჯა ათ-ათი წლით პატიმრობა, სამ-სამი წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ქონების კონფისკაციით. მათვე დაეკისრა 36.800 მანეთის გადახდა დაზარალებული კოლმეურნეობის სასარგებლოდ.

ვ. გუზალაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ფაშისტების ბოროტებანი

ბალკანეთში

სახ. ოპერა—„მეფის საცოლე“; **მარჯანიშვილის**—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“; **გრიბოედოვის** — „მთავარსარდალი სუვოროვი“; **სომხური**—„ვუკანზე“, **აზერბაიჯანული**—„მახამატ“.

საქართველოს სასწავლო კომბინატის თბილისის ფილიალი

გადავიდა ახალ ბინაზე (წყალსაზიდის ქუჩა № 5, ვაჟთა მე-4 სკოლის შენობაში) და განაგრძობს მოანგარიშეებისა და ბუხჰალტრების მომზადება-გადამზადებას.

ცნობები მიიღება საქ. სსწ. კომბინატის კანცელარიაში (ძერჟინსკის ქუჩა, № 22, ტელეფონი 3—31—10), დილის 9 საათიდან ღამის 5½ საათამდე, საღამოს—ფილიალის კანცელარიაში (წყალსაზიდის ქუჩა № 5, ვაჟთა მე-4 სკოლა, ტელეფონი 3—03—09).

დირექცია

№ 246

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84 სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83 სამხედრო, განათლებისა-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЗ 04842

სიმონ ფვერავა

ლაგოდეხის საკოლმეურნეო მინდვრებზე

უხვი სამხედრო მოსავლის მიღება! — აი რა ლოზუნგით გაიშალა წელს ლაგოდეხელ კოლმეურნეთა შრომითი ენტუზიაზმი. დიდსა და პატარას ერთი საზრუნავი ჰქონდა: რაც შეიძლება მეტი ემუშავნათ, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიეღოთ.

წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა მიწა აიძულეს მეტი მოსავალი მოეცა. როგორც განაცხადეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეებისადმი მიმართვაში, მათ დაუღალავად იმუშავეს, რომ წესიერად მოეწყოთ მინდვრის სამუშაოები, უზრუნველეყოთ აგროღონისძიებათა დაცვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა და გაშენების დარგში.

ამ ბეჯითმა ზრუნვამ თავისი ნაყოფი გამოიღო: თამბაქოს პლანტაციები ტევრივით შრიალებენ; მწიფე და ლორთქოშ ფოთლებს მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ჯარი შესევია, სტეხენ და ალაგებენ ურმებზე, ნემსაგენ და აწყობენ ფარდულებში, რომ მალე იხილოს თამბაქოს ფოთლებმა საფერმენტაციო ქარხნის საამქროები.

სიმინდის ყანები ლაგოდეხის ნოყიერ მიწაზე ცისკენ იშვერენ ათავნაყარებულ წვეროებს. ზოგს ორი და ზოგს სამი ტარო ამოუწვდია ხმალივით. დატაროებულ სიმინდებს სიყვითლე გადაჰკვრიათ. მარცვლებს მზის მხურვალების გამო ხმობა დაუწყიათ. მალე ბეღლები გაივსება წყდიანი ტაროებით: პური და ქერი რა ხანია მოიმკა. აქა-იქ სალეწი მანქანების გუგუნი ისმის. შრომაში გაფლეანებული გოგო-ბიჭები ძნებს ძნებზე იღებენ პურის ზვინებიდან და ვერ აუდგან სალეწი მანქანისათვის მიწოდებას. მათი მკლავების სწრაფი მოქმედება კონვეიერული მუშაობის რიტმსა ჰქმნის.

სურნელოვანი გერანით დატვირთული საზიდრები ზეთის სახდელ ქარხნისაკენ მიემართებიან. ქუჩები, ბილიკები, ნაპურალები და ტყიანი მიდამოები გერანის სურნელებით იეღენთება. რომელ კოლმეურნეობაშიც უნდა გაიაროთ, ყველგან ნახავთ მკლავებდაკაპიწებულ და მოხლებდაკარწახებულ მუყაოთ ადამიანებს, შრომის ბარაქით და წითელი არმიის გმირული ბრძოლებით გახარებულთ.

ლაგოდეხელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო: წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო უფრო ადრე და შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს, ვიდრე შარშან. თამბაქოს დარგვა 25 მაისისათვის დამთავრდა, შარშან კი 5 ივნისისათვის. თავთავიანი კულტურების მოსავალი წელს მთლიანად აღებულ იქნა 15 ივლისისათვის, შარშან 30 ივლისისათვის. მოწინავე კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ნახევარი წლის სამეშუათოა გეგმების შესრულებისა და მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის განხორციელების საქმეში თავი ისახელეს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა.

სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ოთხი ბრიგადა მუშაობს, ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ხვნა-თესვიდანვე გაიშალა. სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ პირველმა ბრიგადამ გაიმარჯვა მეორე ბრიგადაზე, ხოლო მესამემ მეოთხე ბრიგადაზე. ეს კოლმეურნეობა მოწინავეა. მას ყველა სახის სამუშაო ვადაზე ადრე და ხარისხოვნად აქვს შესრულებული. გეგმების შესრულებაში თავი მრავალმა კოლმეურნემ გამოიჩინა. აი დარბაისელი და ენერგიული მოხუცი შაქრო დარჩიაშვილი. მისთვის მოხუცებულობას თავდადებულად მუშაობაში ხელი არ შეუშლია. მოსავლის აღებისას 1.200 კვადრატული მეტრის ნაცვლად 2.000 მეტრს მკიდა ხელით, თოხნაში 600 მეტრის ნაცვლად 1.500 მეტრს თოხნიდა, თავის დროზე გამოდის სამუშაოზე, ხარისხიანად მუშობს. მას შვილი ფრონტზე ჰყავს. ქალების და მოზარდების შრომა მეტად ეფექტიურია ამ კოლმეურნეობაში. ფრონტზე წასულებს დედები, ცოლები და ბავშვები სცვლიან. მესამე ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელს მარგალიტა მნჯიფარაშვილს ქმარი და ორი შვილი ფრონტზე ჰყავს, იგი ერთ დღესაც არ აცდენს. ამკამად მისი რგოლი თამბაქოს შეტეხაზე, ანიმსვასა და ჩაწყობაზე მუშაობს. ნახევარი წლის განმავლობაში 140 შრომადღე აქვს გამომუშავებული. მარგალიტას არ ჩამორჩება სირანა ხმალაძე, მასაც ფრონტზე ჰყავს ქმარი, გამოიმუშავა 140 შრომადღე. ანა მოლაშვილი, დ. დავლაშერიძე და მარო მენთეშაშვილი სამაგალითოდ მუშაობენ კოლმეურნეობაში, ხოლო მათი ქმრები თავდადებით ებრძვიან გერმანელ ოკუპანტებს.

ამ ბრიგადას კარგი და ენერგიული ხელმძღვანელი ჰყავს—ვანო ტალიაშვილი. ის 9 წელია მუშაობს ბრიგადირად და სულ მოწინავედ ითვლება. საერთოდ ამ კოლმეურნეობას დაკვირვებული ხელმძღვანელის ხელი ატყვია. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე აიღო მოსავალი, გალეწა, სახელმწიფოს ყველა სახის დავალებები შეასრულა. მათ შორის გადაჭარბებით—მეცხოველეობის განვითარების გეგმა. კოლმეურნეობის მედალოსანი თავმჯდომარე—ალექსანდრე ტოკლიკაშვილი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ათი წლის თავმჯდომარეობის გამოცდილება, დღე და ღამ იმის ცდასა და ფიქრშია, თუ რა შემატოს კოლმეურნეობას და მის წევრებს.

ლაგოდეხის კოლმეურნეობებში სოფ. ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა განსაკუთრებით გამოირჩევა წევრთა შრომითი დაინტერესებით. ზმირია ისეთი შემთხვევა, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს—ვასო გობეჯიშვილს თვითონ მიმართავენ, სამუშაო მოგვეციოთო. ამიტომაც მოხდა, რომ ამ კოლმეურნეობამ მკა გეგმით გათვალისწინებულ 15 დღის ნაცვლად 8-9 დღეში შეასრულა და ისიც ხელით. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 16 ცენტნერის მაგიერ წელს ჰექტარზე 20 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. წითელი არმიის ფონდში კოლმეურნეობამ შეიტანა 6.073 კილოგრამი ხორბალი, თავდაცვის ფონდში — 4.200, ძმური დახმარების ფონდში — 1.500 კილოგრამი, განთავისუფლებული რაიონებისათვის ზრდის 2 სულ მსხვილფეხა საქონელს და ერთ დედა-ღორს.

ამ კოლმეურნეობაში პირველობა დავალების შესრულების მხრივ პავლე მაისურაძეს ეკუთვნის, იგი მეფურმეა, მის მიერ მოვლილი ხარების ნახვას არაფერი სჯობს; მკაში ორ ნორმას ასრულებდა, შვიდ თვეში გამომუშავებული აქვს 203 შრომადღე. პავლე კოლმეურნეობაში ყველას უყვარს, როგორც პატიოსანი მშრომელი გლეხკაცი. ამ კოლმეურნეობაში ბევრი მოწინავე ქალ და კაცია, მათ შორის თამარ ლობჟანიძე, ნატალია გობეჯიშვილი, სონა მაისურაძე, ცუცა რეხვიაშვილი, მიხეილ მეტრეველი, ნიკო მაისურაძე და სხვები.

სოფელ ლაფნიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა პატარაა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულების მხრივ მოწინავე და საინტერესოა. მოსავლის აღება 12 დღეში დაამთავრა, თავდაცვის ფონდში შეიტანა 33 ცენტნერი ხორბალი, წითელი არმიის ფონდში—15 ცენტნერი, ძმური დახმარების ფონდში—25 ცენტნერი, განთავისუფლებული რაიონებისათვის დათესილია ერთი ჰექტარი სიმინდი, ზრდის 1 სულ მსხვილფეხა საქონელს, 2 თხას. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 16 ცენტნერის მაგივრად ჰექტარზე აიღო 18 ცენტნერი ხორბალი. ამ კოლმეურნეობას თავმჯდომარეობს ენერგიული და მონდომებული ახალგაზრდა ვალოდია ლობჟანიძე.

ლაგოდეხის რაიონში სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ თავმჯდომარე დანიელ ულუტკოვი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. მან, როგორც სამამულო ომის მონაწილემ, დაჭრილმა, უნარიანმა მეთაურმა, ფრონტიდან კოლმეურნეობაში მოიტანა სიმტკიცე, ნებისყოფა, დისციპლინა, ხელმძღვანელობის საქმეში კონკრეტულობა და ოპერატიულობა. მას ახასიათებს ნამდვილი მებრძოლი ადამიანის სულისკვეთება, რომელსაც იგი ნერგავს კოლმეურნეთა შორის. ამ მისაბაძმა თვისებამ უზრუნველჰყო წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობის მოწინავეთა რიგებში ჩადგომა. ეს დიდი კოლმეურნეობა, შიგ გაერთიანებულია 207 კომლი, ჰყავს 6 ბრიგადა. მკა დასრულა 9 დღეში, პირველმა მთელს რაიონში სახელმწიფო ვალდებულებები სამ დღეში შეასრულა, ჰექტარზე 16 ცენტნერის ნაცვლად 19 ცენტნერი ხორბალი მიიღო, წითელი არმიის დახმარების ფონდში შეიტანა 9.794 კილოგრამი ხორბალი, თავდაცვის ფონდში—5.600 კილოგრამი, განთავისუფლებული რაიონებისათვის 2 ჰექტარის მაგიერ 3 ჰექტარი დასთეხა, ზრდის 1 დედა-ღორს, 8 ცხვარსა და 5 ხბოს. ამას გარდა თავისივე კოლმეურნეობის წითელარმიელთა ოჯახების წევრთა დასახმარებლად 3 ჰექტარი ხორბალი ჰქონდა დათესილი.

უხვი სამხედრო მოსავალი მოვიდა. მალე სიმინდის მოსავალიც მიეიმტება პურის მოსავალს. როგორც ყველა პატიოსანი საბჭოთა ადამიანის გულში, ისე ლაგოდეხელთა გულშიც ღვიძის დიდი და ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოს დამცველებისადმი, ჩვენი მამაცი მფრინავებისადმი, ტანკისტებისადმი, ქვეითებისა და ცხენოსნებისადმი.

დიდი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებები და წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი სამამულო ომის ფრონტზე კიდევ უფრო აღფრთოვანებენ ლაგოდეხელ კოლმეურნეებს თავდადებული შრომისათვის.

სექტემბერი

ფაშისტური ბოროტმოქმედებანი

ბალკანეთში

ომი ზღვაში

ომი ზღვაზე

ბრძოლა